# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრბოს გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.




დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 4 ივნისი, 2011 წელი.

№103 (6714)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge  ვებ გვერდი: www.open.ge  ფასი 50 თეთრი.


# ჰქონდა თუ არა გეგმა სახალხო კრებას და ვინ შეუშალა ხელი ბურჯანაძეს?




***ქორწინების ბეჭედი, რომელიც ნინო ბურჯანაძეს მარჯვენა თითიდან ოცდაექვსი წლის მანძილზე არცერთხელ არ წაუძვრია, დღეს მარცხენა ხელზე უკეთია. რა თქმა უნდა, ეს არ გამოჰპარვიათ ცნობისმოყვარე ჟურნალისტებს, რომლებიც ისედაც ბევრ უხერხულ კითხვას სვამენ ცოლ-ქმრის ურთიერთობებთან დაკავშირებით. ნინო ბურჯანაძე ბადრი ბიწაძის შესაძლო დაკავების გამო თითქოს სულაც არ ღელავს, პრინციპულად არ აპირებს გირაოს გადახდას, არაფერი იცის მეუღლის ადგილსამყოფლის შესახებ და ა. შ. – ამან სერიოზული ეჭვები გააჩინა. თუმცა... ლამის „რკინის ლედად“ მონათლული ქართველი ოპოზიციონერი ქალი ყველას გასაგონად, თანაც ღიმილნარევი ამბობს, რომ მის ოჯახურ სიმყარეს არაფერი ემუქრება. რაც შეეხება ბეჭედს, 26 მაისს, დარბევის ღამეს, მარჯვენა ხელი უღრძვია, რის გამოც თითები დასივებია და ბეჭდის ადგილის შეცვლაც ამიტომ მოუწია. ეს რაც შეეხება  იმ თემას, რაც ყვითელ პრესას დააინტერესებდა...***

პოლიტიკური ვნებათაღელვა კი გრძელდება. ნინო ბურჯანაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ მისმა ადვოკატებმა რამდენიმე სარჩელი მოამზადეს, რომელიც ტელეკომპანიებს შეეხება: „რუსთავი-2“-ს, „იმედსა“ და საზოგადოებრივ მაუწყებელს. „მათ მოამზადეს ცრუ სიუჟეტები აქციის მიმდინარეობის პერიოდში, შეურაცხყოფა მიაყენეს მომიტინგეებს, რის გამოც აუცილებლად მოუწევთ პასუხისგება“ – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. მათ რიგებს მიეკუთვნება „რეალტივი“, მაგრამ, როგორც ბურჯანაძე ამბობს, არ იცის, ღირს თუ არა უჩივლოს ამ არხს, რომელიც უშუალოდ ვანო მერაბიშვილის მითითებით იმართება. სარჩელი შევა ასევე ჟურნალ „ტაბულას“ წინააღმდეგ, რომლის რედაქტორი გიგა ბოკერიას მეუღლეა. გამოცემის ყდაზე გამოქვეყნებულია ბურჯანაძის სურათი, წარწერით „გასამართლდეს“. ადვოკატები უჩივლებენ იმ სარეკლამო კომპანიასაც, რომელიც ფილარმონიის დიდ ეკრანზე რეკლამას უწევს ჟურნალ ტაბულას და შესაბამისად, ნინო ბურჯანაძის წარწერას „გასამართლდეს“. როგორც სახალხო კრების ორგანიზატორი ამბობს, ამით ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია, რისთვისაც ის მორალური ზიანის სანაცვლოდ მატერიალურ ანაზღაურებას ითხოვს. თანხა 26 მაისს დაზარალებულთა ფონდს გადაეცემა. მართალია, გენპროკურატურაში საჩივრის შეტანის გამო ის ობიექტურ სამართალს არ ელოდება, მაგრამ საერთაშორისო სასამართლოში ჩივილისთვის ეს პროცედურები აუცილებლად გასავლელია.

ნინო ბურჯანაძის სარჩელები ამით არ შემოიფარგლება. ის ასევე უჩივის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილს და უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელ გიგა ბოკერიას. **„ამ ხნის განმავლობაში ხელისუფლება ავრცელებს ინფორმაციებს სახელმწიფო გადატრიალების, ათასობით შეიარაღებული ადამიანის, რუსული სამხედრო ძალების შემოყვანის შესახებ. ეს ინფორმაცია თურმე ორი თვეა იციან. კი მაგრამ ინფორმაციის ნამდვილობის შემთხვევაში, როგორც თავად ამტკიცებენ, ხომ ექმნებოდა საფრთხე ქვეყანას – და რას ელოდნენ ესენი, შეგნებულ პროვოკაციაზე მიდიოდნენ?! სწორედ ამიტომ მათ ვუჩივლებთ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი გულგრილობის და სამშობლოს ღალატის გამო, კლასიფიკაციაზე ადვოკატები იმსჯელებენ“,** – ირწმუნება ბურჯანაძე.

იხ. 2 გვ.



## ფიროსმანის ერთი ნახატის გამო

6

## „ЧТО-ТО“-ს საიდუმლო

## მედვედევი და პუტინი: განსხვავებულ იდეოლოგიათა კონკურენცია?

5





### გიორგი თარგამაძე: რას უშვრება რევოლუცია საკუთარ შვილებს,

### ანუ „პარანოიდული ბრძოლა“ რუსთაველის გამზირისთვის

3



### გია ხუხაშვილი: როდესაც საეცრაზმელი საკუთარ თანამოქალაქეებს უსწორდებოდა, ის რუსეთს ურტყამდა



### ლინკოლნ მიჩელი:

8

### მოსახლეობის ხმა პოლიტიკაში არ ისმის

### ანზორ ბაბუხადია:



### ...ან აღვიგვებით მიწისაგან პირისა როგორც ერი!

9

### გარკვეულის გაურკვევლად წარმოჩენის ქართული ვარიანტი

**ბრიფინგი**

**(პირველი გვერდიდან)**



# ჰქონდა თუ არა გეგმა სახალხო კრებას და ვინ შეუშალა ხელი ბურჯანაძეს?

რაც შეეხება ბრალდებას, რომელსაც შსს უყენებს მის მეუღლეს, ბურჯანაძე აბსოლუტურად უსუსურს უწოდებს და არც ბადრი ბიწაძის ადგილსამყოფელს ასახელებს. რომც ვიცოდე, არ ვიტყვი, – აცხადებს ის, თუმცა ჟურნალისტები ავრცელებენ ვერსიას, რომ ბიწაძე სომხეთში იმყოფება. „სამარცხვინოა მოსამართლის გადაწყვეტილება, რომელიც გუშინ ვნახე. არც ერთი მტკიცება არ არის დართული, თუნდაც ის ფარული ჩანაწერები, რომელიც საზოგადოებამ იხილა. იმიტომაც, რომ ის იყო უკანონო ჩანაწერები და ფორმალურადაც კი სამართლებრივი ძალა არ გააჩნია. სამარცხვინოა ისიც, რომ გადატრიალების მოწყობის მცდელობიდან, ახლა ბრალდება დავიდა პოლიციელთა წინააღმდეგ დაჯგუფების ორგანიზებამდე. კატეგორიულად ვაცხადებ, რომ დამნაშავე არა ვართ და არც გირაოს არ გადავიხდით. კეთილი ინებოს და ამტკიცოს ხელისუფლებამ ბადრი ბიწაძის დამნაშავეობა. იმუშაოს და გაარკვიოს, სად იმყოფება“, – განუცხადა მან ჟურნალისტებს.

ნინო ბურჯანაძე დღენახევრით ევროპაში გამგზავრებას გეგმავს, თუმცა კატეგორიულად ამბობს, რომ ქვეყნის დატოვებას და თავშესაფრის ძებნას არ აპირებს. „როგორი რეპრესიებიც არ უნდა განხორციელდეს, თავშესაფარს არ მოვითხოვ, მაგრამ ევროპაში აუცილებლად უნდა წავიდე. მთელ მსოფლიოში კონტაქტები მაქვს, მეგობრები მყავს ევროპასა და ამერიკაში, რომლებსაც არ ჰქონდათ სრული ინფორმაცია. თანდათან ყველას ვუკავშირდები და დეტალებს ვაცნობ. მათ ბრიუსელში, ან ევროპის სხვა რომელიმე დედაქალაქში პრესკონფერენციის მოწყობა შემომთავაზეს და დახმარება აღმითქვეს. ალბათ, ხელისუფლება შეეცდება ჩემს დაბლოკვას, მაგრამ რადაც არ უნდა დამიჯდეს, მსოფლიოს სიმართლე უნდა გავაგებინო, უნდა იცოდნენ, რომ 26 მაისს საქართველოში დიქტატურა ჩამოყალიბდა და ევროპამ ახალი დიქტატორი მიიღო“, – ამბობს ის.

სამწუხაროა, მაგრამ აქციის დარბევის მოვლენები არ ჩამცხრალა. როგორც სახალხო კრების ერთ-ერთი ლიდერი იტყობინება, დაჭერები გრძელდება. იჭერენ ისეთ ადამიანებსაც კი, რომლებიც ერთხელ უკვე დააპატიმრეს და გაათავისუფლეს. ბურჯანაძის თქმით, განსაკუთრებული აგრესიულობით ბორჯომის შს სამმართველოს უფროსი მამუკა ხვედელიანი გამოირჩევა. ის ერთ-ერთ დაკავებულს დაემუქრა, იარაღის არსენალს აღმოგიჩენთო. თუკი დღეიდან სახალხო კრების წევრს იარაღის არსენალს აღმოუჩენენ, ეს იქნება პროვოკაცია, – წინასწარ აფრთხილებს საზოგადოებას ბურჯანაძე.

დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი საკმაოდ ფრთხილი იყო ამერიკის ელჩის ჯონ ბასის კომენტარების შეფასებისას. ის ამბობს, რომ ელჩის განცხადება, 26 მაისის ღამემდე თქმული, სხვა ქვეყანაში ჩვეულებრივად იქნებოდა აღქმული, მაგრამ ამ ხელისუფლებამ „მწვანე შუქად“ მიიჩნია. „პირადად არ მომისმენია, მაგრამ თუკი ჯონ ბასმა სადმე ახსენა, რომ სახალხო კრება ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლას აპირებდა, ეს არის სერიოზული ბრალდება, რის გამოც მას პასუხისგება მოუწევს. ეს რომ დასახული გვქონოდა, რატომ დავალეწინეთ თავპირი და რატომ არ შევცვალეთ ხელისუფლება, სად არის ლოგიკა? – იკითხა ბურჯანაძემ.

რა თქმა უნდა, პრესკონფერენციაზე დაისვა ბევრი კითხვა სახალხო კრებისა და „ქართული პარტიის“ ურთიერთობის შესახებ, რაზეც პასუხი იყო მოკლე: „ეროსი კიწმარიშვილის განცხადებები არ მაინტერესებს. მან ხელისუფლების საქმე კარგად გააკეთა და ნეგატიური და დრამატული როლი შეასრულა მაისის მოვლენებში. ამან ნიჰილიზმი გააღვივა ხალხში“. რაც შეეხება „ქართული პარტიიდან“ ლევან გაჩეჩილაძის, კოკა გუნცაძის და კახა მიქაიას წამოსვლის ფაქტს, ბურჯანაძე ამბობს, რომ ყველა იქ უნდა დადგეს, სადაც ხალხია. „გაჩეჩილაძე ოჯახის წევრებთან ერთად მოვიდა მიტინგზე და საკმარისად დაზარალდნენ, რასაც ადამიანური თვალსაზრისით დაფასება ნამდვილად სჭირდება“, – დასძინა მან.

პრესკონფერენცია საათზე მეტხანს გაგრძელდა და ნინო ბურჯანაძეს საკმაოდ ბევრ კითხვაზე მოუწია პასუხის გაცემა, მათ შორის ერთსა და იმავეზეც, რომელიც უშუალოდ ბადრი ბიწაძის საქმეს შეეხებოდა. დასასრულ, ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა ექსკლუზიურად გავსაუბრებოდით სახალხო კრების გეგმის შესახებ. რატომღაც ნინო ბურჯანაძე ამ თემამ იმაზე მეტად გააღიზიანა, ვიდრე რომელიმე სხვამ, იქ დასმულმა.

**– ქალბატონო ნინო, ბევრი გსაყვედურობთ იმის გამო, რომ გეგმა არ გააცხადეთ; ზოგიერთი ვარაუდობს, რომ ის არც გქონდათ?**

– ვინ მსაყვედურობს?

**– ძალიან ბევრი...**

– ვინ, კონკრეტულად, ვინ, ძალიან მაინტერესებს?

**– პრესაში ამაზე ბევრი დაიწერა...**

– ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ტელევიზორთან ისხდნენ და აქციას უყურებდნენ, ხომ?!

**– თუნდაც.**

– ამიტომ მათი აზრი არ მაინტერესებს, პირდაპირ გეტყვით. ჩვენი მომხრეები აქ არიან, ნაცემები, ნაგვემები, დალეწილები და შეურაცხყოფილნი. ჰკითხეთ, ვინმე თუ გვსაყვედურობს...

**– გქონდათ თუ არა გეგმა, ან რატომ არ გააცხადეთ?**

– რატომ უნდა გამოგვეცხადებინა. გეგმა იყო, მაგრამ ხელისუფლების შეცვლის გეგმაზე შეიძლებოდა წინასწარ დეტალებში გვესაუბრა; და რა, იმ ხელისუფლებას ადვილად შეცვლიდით?

**– ის, რაც მოხდა, იყო თუ არა თქვენი გეგმა?**

– დიახ, ეს იყო გეგმის ნაწილი, უნდა მოსულიყო ძალიან ბევრი ადამიანი და დაწყებულიყო მასობრივი აქციები სხვადასხვა ადგილას, რასაც ხელისუფლება ნამდვილად ვერ გაუძლებდა. ასე რომ არც ერთ პოლიტიკოსს, რომელიც ტელევიზორთან იჯდა, უფლება არა აქვს, დღეს გეგმაზე გველაპარაკოს. ბუნებრივია, ჩვენი გეგმა ტრანსფორმირებას განიცდის, მაგრამ ბრძოლა გაგრძელდება, ამაში გარწმუნებთ... გმადლობთ!

ესაუბრა
**თეა მოსია**

**განცხადება**

## ქართველი საზოგადოება არ შეეგუება ხელისუფლების სისასტიკეს

**26 მაისის მიტინგის დარბევისას პოლიციის მხრიდან გადამეტებული ძალის გამოყენების გამოძიებას ითხოვს როგორც ქართველი საზოგადოება, ისე საერთაშორისო თანამეგობრობა. მიუხედავად ამისა, მიხეილ სააკაშვილი ცდილობს მასშტაბური ტრაგედიის იგნორირებას, ხოლო მისი მორჩილი საპარლამენტო უმრავლესობა სამარცხვინო ბოლშევიკური დემაგოგიით ამართლებს პოლიციის სისასტიკეს.**

**„ქართული აკადემია“ კიდევ ერთხელ მოუწოდებს საქართველოში მოქმედ პოლიტიკურ ძალებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, საზოგადოების ფართო ფენებს, გაააქტიურონ თავიანთი ძალისხმევა 26 მაისს პოლიციის მიერ ჩადენილი ქმედებების ობიექტური გამოძიებისათვის, რათა დამნაშავეთა დაუსჯელობამ არ გამოიწვიოს ახალი დანაშაულის წახალისება და არ შექმნას პოლიტიკურ ნიადაგზე ტოტალური და ფართომასშტაბიანი რეპრესიების საფუძველი. მით უმეტეს, საქართველოს ხელისუფლებას ძალაუფლების შენარჩუნების ერთადერთ გზად დღემდე საკუთარ ხალხზე ძალადობა მიაჩნია.**

**ღრმად გვწამს, ქართველი საზოგადოება არ შეეგუება ხელისუფლების სისასტიკეს, რასაც ადასტურებს 28 მაისს რუსთაველის პროსპექტზე გამოსული ათასობით ადამიანის მიერ ძალადობის წინააღმდეგ გამოხატული მდუმარე პროტესტი.**

**„ქართული აკადემია“**

**ნაცადი ხერხი**

# დავფიქრდეთ, პუტინისა და რუსეთის ლანძღვა-გინებით საქართველოში ანტიქართული ძალა ხომ არ დააჯდა თავზე ხალხსა და ქვეყანას

**საქართველოში უკვე მერამდენედ ანტირუსული ისტერიაა. დრო ადასტურებს, რომ სწორედ ანტირუსული ისტერიაა ქვეყნის დამონების, მაგრამ პრეზიდენტთათვის სკამის შენარჩუნების ნაცადი ქართული იარაღი.**

„თქვენ გვასწავლით, რომ რუსეთთან ომის მოგება შეუძლებელია?“ – გვეუბნებიან იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, გერმანიის, ანუ იმ ქვეყნების პოლიტიკოსები, ექსპერტები და პოლიტოლოგები, რომელთაც ომი აქვთ წაგებული რუსეთთან და დღეს მასთან განსაკუთრებულად კარგ დამოკიდებულებაში არიან. სწორედ ეს ქვეყნები გვაფრთხილებენ, რომ გვეშინოდეს იმ პოლიტიკოსების, რომლებიც რუსეთის ლანძღვით მოვიდნენ ხელისუფლებაში, მიცოცავენ ხელისუფლებისაკენ, ცდილობენ მოპოვებული სკამების შენარჩუნებას.

დავაკვირდეთ, საქართველოში ლამის რუსეთის ლანძღვა გახდა ხელისუფლებაში მოსვლის ყველაზე მოკლე და გარანტირებული გზა. ვინც რუსეთთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულებაზე საუბრობს – რუსეთის აგენტი და საქართველოს მტერია, ხოლო ის, ვინც რუსეთის ლანძღვა-გინებაშია – ნამდვილი ქართველი.

ნონა გაფრინდაშვილი, რეზო ესაძე, ელიზბარ ჯაველიძე, გოგი ქავთარაძე, გია ბურჯანაძე, ლუკა კურტანიძე (ვსაუბრობ მხოლოდ აღმასრულებელი საბჭოს წევრებზე, პოლიტიკოსებზე აღარაფერს ვამბობძ არიან საქართველოს მტრები და გივი თარგამაძე, გიგა ბოკერია, ლევან რამიშვილი, თეა თუთბერიძე, გია ნოდია, აკაკი მინაშვილი და მსგავსნი მათნი – ესენი არიან ნამდვილი ქართველები?

საცოდავი საქართველო!

დააკვირდით ჩვენს მიერ წარმოდგენილ სქემას, არც ერთ ეპოქაში არც ერთი მმართველობის დროს, მთავარ სტრატეგიულ ობიექტებს რუსეთი საქართველოში არასდროს ასე არ ფლობდა და არ აკონტროლებდა, თქვენ წარმოიდგინეთ, საბჭოთა კავშირის პერიოდშიც კი, როგორც დღეს, რუსეთის ნომერ პირველ მტრად გამოცხადებული და თვითრეკლამირებული სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს.

სახლში შუქი გვაქვს? – რუსული კომპანია გვაწვდის. სახლში გაზი გვაქვს? – რუსული კომპანია გვაწვდის. სახლში წყალი გვაქვს? – რუსული კომპანია გვაწვდის, ანუ ყველაფერი იმით, რითაც სააკაშვილი ტრაბახობს, რომ ადრე შუქი, წყალი, გაზი, არ გვქონდა, დღეს კი გვაქვსო, ყველაფერ ამას მიხეილ სააკაშვილს რუსული კომპანიები უგვარებენ.

მთავარი კომუნალური გადასახადები – დენის, გაზის, წყლის, ნაგვის გადასახადის ჩათვლით, რომლებიც ასე უზომოდ არის გაბერილი და გაზრდილი და საქართველოს მოსახლეობის ჯიბიდან ამოდის – რუსულ ფირმებში მიდის.

ჩვენი მთავარი ბუნებრივი სიმდიდრე, ჰიდრორესურსები რუსული სახელმწიფო კომპანიების კუთვნილებაა. ჩვენი ქვეყნის ოქროს, მარგანეცისა და სხვა საბადოები რუსულ სახელმწიფო კომპანიებს ეკუთვნის ...ქართული ბიზნესის უდიდეს ნაწილს სწორედ რუსეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული და ამავე დროს სააკაშვილის მეგობრები და სააკაშვილის მიერვე უზომოდ გაყოყოჩებული რუსეთში გამდიდრებული ქართველი ბიზნესმენები არიან. (შარანგიების ოჯახი, ძმები ფიფიები, სიჭინავა...ძ

დავფიქრდეთ, პუტინისა და რუსეთის ლანძღვა-გინების დროშით საქართველოში ანტიქართული ძალა ხომ არ გადაგვაჯდა თავს ხალხს და ქვეყანას?

დავფიქრდეთ, ვის წისქვილზე უშვებს წყალს რუსეთის ლანძღვა-გინება და ეს ლანძღვა-გინება ხომ არ აუზედურებს საქართველოს, რომლისთვისაც როგორც რუსეთთან ომწაგებული ქვეყნების – იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის და გერმანიის მსგავსად, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობები უფრო გვაწყობს, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობა უფროა ქართულ ინტერესში, ვიდრე რუსეთთან ომი და მისი ლანძღვა-გინება.

დაფიქრებისათვის რამდენიმე კონკრეტული ფაქტი

1. ერთი თვის წინათ საქართველოსა და რუსეთის შსს მინისტრები სომხეთში შეხვდნენ ერთმანეთს. შეხვედრიდან მეორე-მესამე დღეს ორი მთავარი ჰიდროსადგური, „ხრამი 1“ და „ხრამი - 2“ რუსეთის კუთვნილება გახდა(?!ძ




2. 15 დღის წინათ რუსეთის მთავარმა სატელევიზიო არხებმა, განსაკუთრებით ნტვ-მ წარმოუდგენლად აქეს და ადიდეს, დიდი ხოტბა შეასხეს ვანო მერაბიშვილსა და ქართულ პოლიციას(?!ძ

3. „ეროვნული წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ დაწყების წინ, ქართული სახელისუფლებო სატელევიზიო სივრცე გადაიჭედა ინფორმაციებით იმის თაობაზე, რომ ირაკლი ოქრუაშვილი მოსკოვში ჩავიდა, მას დავალება მისცეს, შეუერთდეს კრებას, რომ აქედან გამომდინარე, სახალხო კრება რუსეთიდან იმართება, რომ ოქრუაშვილი ჩამოდის 25 მაისს საქართველოში და რუსეთი სახელმწიფო გადატრიალებას აწყობს საქართველოში... ოქრუაშვილი აქ ჩამოსული არავის უნახავს, სამაგიეროდ მან (ოქრუაშვილმაძ თავისი განცხადებებით და ქმედებებით დიდი საჩუქარი მიართვა სააკაშვილს და ლახვარი ჩასცა „სახალხო კრებას“(?!ძ

და კიდევ ერთი : 1992 წლიდან ჯერ „მოქკავშირი“, რომლის ერთ-ერთი ლიდერი სააკაშვილი იყო, შემდგომ „მოქალაქეთა კავშირის“ იდეოლოგიური მემკვიდრე :„ნაცმოძრაობა“ მთელი თავისი სახელისუფლებო კლანით, ტვინს უბურღავენ ადამიანებს, რომ რუსეთს საქართველოში გადატრიალების მოხდენა უნდა. გადატრიალება არავის გვინახავს, მაგრამ ისინი ვინც ამ გადატრიალების საფრთხეებზე ლაპარაკობენ, სკამებს ინარჩუნებენ... რუსეთი, რომელიც თითქოს ამ გადატრიალებას აწყობს, საქართველოში ყველაფრის მფლობელი ხდება - ამას ყველანი კარგად ვხედავთ.

დავფიქრდეთ!

ნუ ვწირავთ საქართველოს არაქართული ცნობიერების პრეზიდენტთათვის სკამის შენარჩუნებას.

ჩვენ მომავალი მოგვკითხავს, რომ საქართველო ქართველებსა და საქართველოს მოქალაქეებს აღარ გვეკუთვნის.

ჩვენ მომავალი მოგვკითხავს, რომ დღეს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია. რომ დღეს საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის გარედან იმართება.

ჩვენ მომავალი მოგვკითხავს, რომ ჯერ კიდევ გუშინ მიწაზემფორთხავმა პრეზიდენტმა 26 მაისს საიუბილეო ალუმი მიიღო.

დუმილი დღეს ღირსების დაკარგვის, საკუთარი ქვეყნის მტრობის ტოლფასია.

**თემურ შაშიაშვილი,**
**ახალი პოლიტიკური ძალა „თეთრი მოძრაობა“ („თეთრები“)**
**3 ივნისი, 2011 წელი. თბილისი.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ვინ — ვის?



**რა მოიტანა რუსთაველის გამზირისთვის პარანოიდულმა ბრძოლამ — რევოლუციური გზის დამარცხება თუ არჩევნების მომხრე ოპოზიციური სპექტრის „გაკოტრება? ამ თემაზე პრესაგე.ტვ „ქრისტიან-დემოკატების“ ლიდერს გიორგი თარგამაძეს ესაუბრა.**

# რას უშვრება რევოლუცია საკუთარ შვილებს,

## ანუ „პარანოიდული ბრძოლა“ რუსთაველის გამზირისთვის

**— მაისის რევოლუციური გამოსვლების შემდეგ გაკოტრდა თუ არა ოპოზიცია?**

— რა თქმა უნდა — არა. პრიმიტიული, კატეგორიული და რადიკალური აზროვნების ერთ-ერთი გამოვლინებაა, როდესაც მთელ პოლიტიკურ სპექტრს ან თუნდაც მთელ ოპოზიციას, ვინმე ერთ ტაფაში აქცევს. ოპოზიცია მრავალფეროვანია. ეს, ერთი მხრივ ჩვენი სიმდიდრეა, მეორე მხრივ — სისუსტეც. თუმცა, მე მიმაჩნია, რომ არის სიმდიდრე.

ვფიქრობ, გაკოტრდა გზა, რომელიც ქვეყანაში რევოლუციის პროპაგანდას ემსახურებოდა და რომელიც საზოგადოების ყველაზე გაწამებულ, უსამართლოდ დაჩაგრულ და მოთმინების დეფიციტის მქონე ადამიანების ნაწილში აჩენს ილუზიებს, ძალისმიერი მეთოდებით, ანუ რევოლუციით — ხელისუფლების შეცვლის, სააკაშვილისა და მისი მთავრობის საქართველოდან წასვლის შესახებ. ქრისტიან-დემოკრატებს გვქონდა და გვაქვს ძალიან არგუმენტირებული პოზიცია, რაშიც მეეჭვება, საქართველოში საპროტესტოდ განწყობილი ადამიანებიც კი არ გვეთანხმებოდნენ, რომ რევოლუციებს ქვეყნისთვის და განსაკუთრებით — საქართველოსთვის, კარგი არაფერი მოაქვს.

მე მოვუსმინე დეპუტატ კარლო კოპალიანის ინტერვიუს. ის მონაწილეობას იღებდა 26 მაისის აქციაში და თავადაც დაარბიეს. ნიშანდობლივი იყო მისი ნათქვამი, რომ ამ აქციებზე, როგორც ფაქტი, ერთი რამ დააფიქსირა: აქციაში მონაწილეთა 80% და მათ შორის, სცენაზე მდგომი ადამიანები, რომლებიც ორგანიზაციას უკეთებდნენ ამ აქციას, ვარდების რევოლუციის არათუ მონაწილეები, არამედ ორგანიზატორებიც კი იყვნენ. მწარე რეალობა ისაა, რომ მათ თავად რევოლუციონერი მთავრობიდან მოხვდათ ხელკეტი და ტყვია, დასახიჩრდნენ და გარდაიცვალნენ ადამიანები. ეს არის სწორედ იმ მწარე რეალობის გამოხატულება, თუ რას უშვება რევოლუცია თავის შვილებს.

სწორედ ეს არის მთავარი არგუმენტი, რატომაც არ უნდა ხდებოდეს ქვეყანაში რევოლუცია. რა თქმა უნდა, უპირველესად იმის გამოც, რომ არ დაიღვაროს სისხლი, არ დაინგრეს ქვეყანა. არ ღირს არც ერთი ადამიანის სიცოცხლე არც ერთი შიდაპოლიტიკური მიზნის მისაღწევად. მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დამთავრდა, საგარეო მტერი ქვეყნის შიდა პოცესებში აქტიურად არ უნდა მონაწილეობდეს. მსგავსი ამოცანების დასახვა კი მსხვერპლის ფასად, ეს არის დანაშაული ქართული სახელმწიფოებრიობისა და ადამიანების წინაშე.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, განსაკუთრებით იმათ გასაგონად, ვისაც რევოლუციური იდეები ხიბლავს: რაც მოხდა, იმან აჩვენა სწორედ, რომ საქართველოში რევოლუციის რესურსი არ არსებობს, ზოგიერთისთვის — საბედნიეროდ, ვიღაცისთვის — სამწუხაროდ. ჩემთვის — საბედნიეროდ.

**— კარგით, არ არსებობს რევოლუციის გზა და მეორე გზად განვიხილავთ არჩევნების გზას... თუმცა, როცა უკვე კონკრეტული პარტიების ნდობა-არნდობის საკითხი დგება დღის წესრიგში და მათი წარსულის განხილვა ხდება ცალ-ცალკე, პირადად თქვენზე არის საუბარი, რომ ხართ ხელისუფლებასთან ალიანსში მყოფი პარტიის ხელმძღვანელი...**

> ***მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დამთავრდა, საგარეო მტერი ქვეყნის შიდა პოცესებში აქტიურად არ უნდა მონაწილეობდეს. მსგავსი ამოცანების დასახვა კი მსხვერპლის ფასად, ეს არის დანაშაული ქართული სახელმწიფოებრიობისა და ადამიანების წინაშე.***

— ამ თემაზე, მე მგონი, დიდი ხანია დამთავრდა საუბარი საქართველოში. ნუ მენდობიან მე, სხვას ენდონ. ჯერ ერთი, ჩვენ რომ ძალიან ბევრი გვენდობა, ამაზე ყველა კვლევა მეტყველებს, ამიტომ, ჩემი თხოვნა იქნება, ყველა პროფესიონალი ჟურნალისტის მიმართ, ჩვენი თუ არ ჯერა ვინმეს, ამ ციფრებს მაინც ჩახედონ და დაინახავენ საქართველოში დღითი დღე, თვიდან თვემდე, წლიდან წლამდე იზრდება რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომლებიც არათუ მხარს გვიჭერენ, არამედ აქტიური თანამებრძოლები და თანამოაზრეები ხდებიან ჩვენი.

ყველა ეჭვი გამოირიცხა, ყველა კითხვის ნიშანმა თავის მნიშვნელობა დაკარგა, რადგან ჩვენ ჩვენი ნაბიჯებით, ჩვენი გამოსვლებით, აქტიურობით, პრინციპულობითა და ბრძოლისუნარიანობით ხალხს დავანახეთ, რომ საქართველოში ჩამოყალიბდა ძლიერი ალტერნატიული პოლიტიკური ძალა — „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ სახით.

ნებისმიერი პოლიტიკური ძალის წყაროს წარმოადგენს ხალხი. ამიტომ, არჩევნებისადმი ნიჰილიზმის დათესვა, ეს ყველაზე მეტად სწორედ ხელისუფლებას აწყობს. მე მხოლოდ რამდენიმე ციფრს გეტყვით. არჩევნებში მონაწილეობს ამომრჩეველთა მხოლოდ ნახევარი, ანუ 50%. ნაციონალურ მოძრაობას ბოლო არჩევნებში, სრული მობილიზაციის, დაშინების, ფულის ხარჯვის, ადმინისტრაციული რესურსისა და ყველა სხვა მექანიზმის გამოყენებით მხარი დაუჭირა არჩევნებში მონაწილეთა 53%-მა. ანუ არჩევნებზე მოვიდა 50% და ამ 50%-ის ნახევარმა აირჩია ისინი.

ე.ი. თვით ყველაზე ძლიერი მობილიზების შემთხვევაშიც კი, მმართველი პარტია ახერხებს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 25%-ის მობილიზებას. დანარჩენი 75% არის ან ოპოზიციის მხარდამჭერი, ან განსხვავებულად მოაზროვნე, ან ხელისუფლების საწინააღმდეგო შეხედულებების მქონე, ან უბრალოდ, ნეიტრალურ - გაუგებარ პოზიციაში მყოფი ამომრჩეველი. მე მივმართავ სწორედ იმ ადამიანებს, რომლებსაც თავის დროზე ჰქონდათ გარკვეული იმედები „ნაციონალების“ მიმართ. მაინტერესებს, მათ რა უნდათ - უბრალოდ ძლიერი ხელისუფლება, რომელიც ყველა ნაბიჯზე ახდენს თავისი ძლიერების დემონსტრირებას, თუ მათ სურთ სამართლიანი ძალა იხილონ ხელისუფლებაში, რომელიც საქართველოს თავისუფლებისთვის კონსტიტუციის, ადამიანის უფლებების დაცვისა და ღირსების შენარჩუნებით იბრძოლებს.

**— ანუ ხალხის პასიურობა არის არჩევნების მთავარი მტერი?**

— სწორედ მაგაშია საქმე. თუ ხალხი იქნება აქტიური, თუ ხალხი ამ ბრძოლისუნარიანობას, რომელიც ჩაბუდებულია და სხვადასხვა სახით ვლინდება ხოლმე, თავს მოუყრის და კონცენტრირებას მოახდენს იმ საარჩევნო გზისთვის ბრძოლაში, რასაც ჩვენ და ჩვენი პოლიტიკური პარტნიორები ვთავაზობთ მათ (ასევე არჩევნების დღეს იქნება მობილიზებულიძ, გამარჯვებას წინ ვერავინ დაუდგება.

თუ გაერთიანებულ ქართულ ოპოზიციას აშკარა ღია თანადგომა ექნება ამ საქმეში, ან თუნდაც ცალ-ცალკე ოპოზიციურ პარტიებს, დამერწმუნეთ, რომ საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდება ერთპარტიული მმართველობა. ეს ერთპარტიული მმართველობა უბიძგებს ნებისმიერ ადამიანს, მოახდინოს ხელისუფლების უზურპაცია და დაატრიალოს ყველა ის უბედურება, რომლის მომაკვდინებელი აკორდი 26 მაისს განხორციელდა.

**— პარანოია უწოდეს თქვენს საქციელს „მმართველებმა“, როცა პლენარული სხდომა დატოვეთ „ნაციონალური“ ტაშის პროტესტის ნიშნად.**

— ბატონი წიკლაური ზოგადად შემჩნეულია ამგვარი კომენტარების კეთებაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ყველაზე მეტად არის საჭირო სულგრძელობისა და სინანულის გამოხატულება ხელისუფლების მხრიდან. სიტყვა „პარანოია“ მე ნამდვილად ვთქვი ჩემს გამოსვლაში, ვიდრე ნუგზარ წიკლაური გამოვიდოდა სიტყვით, რადგან ის, რაც მოხდა რუსთაველის გამზირზე, იყო სწორედ ორი სრულიად უპასუხისმგებლო პოლიტიკური ძალის პარანოიდული ბრძოლა რუსთაველის გამზირისთვის, რამაც მოიტანა ტრაგედია, სისხლი, ადამიანების ცხედრები. ამიტომ, მე მათ ადგილზე, როგორც მინიმუმ, გავჩუმდებოდი. რა თქმა უნდა, სრულიად მიუღებელია ის ტაში, რომელიც გვესმოდა ამ სხდომაზე.

**რუსიკო მუმლაძე**

განსჯა

# „როდესაც სპეცრაზმელი საკუთარ თანამოქალაქეებს უსწორდებოდა, ის რუსეთს ურტყამდა“



**26 მაისის დარბევის შეფასებები, ხელისუფლების წაგებული თამაში, წაგებული ოპოზიცია და წაგებული საზოგადოება. ახალი საფრთხე ჩრდილოეთიდან და რუსულ პოლიტიკურ ველზე გაჭრილი ქართველი პოლიტიკოსები. როგორია ახალი პოლიტიკური რეალობა და რატომ გაზარდა 26 მაისის აქციის დარბევამ რუსეთიდან საფრთხის მოლოდინი? — ამ საკითხზე ესაუბრა პრესაგე.ტვ ექსპერტს, პოლიტიკურ საკითხებში გია ხუხაშვილს.**

**— 26 მაისის აქაციის დარბევა წყალგამყოფი აღმოჩნდა ძველსა და ახალ რეალობას შორის, მაგრამ, ჯერ არ ვიცით, უკეთესობისკენ შეიცვალა ქვეყნის მომავალი თუ უარესობისკენ. თქვენ თუ ხედავთ რაიმე პერსპექტივას თუ, მიხეილ სააკაშვილმა მოახერხა საზოგადოებაში ნიჰილიზმის გაღრმავება და ამით ბოლო მოუღო ოპოზიციურ ბრძოლას? 31 მაისს როგორც ვნახეთ, „რვიანს“ მოლოდინი გაუწბილდა და ხელისუფლებამ პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა.**

— ის, რაც მოხდა, იყო პოლიტიკური შოკი. ქვეყანაში პოლიტიკური პროცესი დიდი ხნით შეჩერებული იყო და ხელისუფლება, როგორც ჩანს, თვლიდა, რომ ყველა პრობლემას ჩვეულ სტილში მოაგვარებდა. თუმცა, ვთვლი, რომ გათვლა სწორი არ იყო და ხელისუფლებამ საპირისპირო შედეგი მიიღო.

ამ შოკიდან ნელ-ნელა დაიწყებს გამოსვლას როგორც ქართული საზოგადოება, ისე — საერთაშორისო თანამეგობრობა. ჩვენი ევროპელი და ამერიკელი მეგობრები თავიდან საკმაოდ არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებდნენ, რადგან შეცდომაში იყვნენ შეყვანილი, მაგრამ, ვფიქრობ, იქაც უკვე იცვლება განწყობები და საკმაოდ სერიოზულად.

გაერომ უკვე გააკეთა განცხადება, ეს ისტორია ჯერ არ დასრულებულა. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 60-ზე მეტი ადამიანი, ჯერჯერობით, არ ჩანს. აქ ნებისმიერი ახალი გარემოება შეიძლება გახდეს ძალიან მძიმე პროცესების კატალიზატორი ხელისუფლებისთვის.

მეორე ფაქტორი გახლავთ ის, რომ ეს სისტემა დიდი ხანია ცდილობს დათრგუნვასა და შიშზე იდგეს — დაათითოკაცოს ეს პროცესი და კონფორმისტული საზოგადოების ჩამოყალიბებას შეუწყოს ხელი. ხელისუფლებას, გარკვეულწილად, ეს ამოცანა გადაწყვეტილიც ჰქონდა, თუმცა 26 მაისის შემდეგ ყველა ადამიანმა, თუნდაც — შეშინებულმა და დათრგუნულმა, დაინახა, რომ მისი რიგიც მალე დადგება.

საზოგადოებამ დაიწყო თავდაცვითი რეაქციების გამოვლენა, რაც 28 მაისის აქციაზე გამოჩნდა, როდესაც ბევრად მეტი ადამიანი გამოვიდა, ვიდრე სხვა აქციებზე. ეს იყო მდუმარე აქცია, მაგრამ დამერწმუნეთ, შინაგანი პროტესტი ბევრად უფრო მაღალი იყო, იმის მიუხედავად, რომ პოლიტიკასთან არ იყო იდენტიფიცირებული და ეს სწორიც იყო. ეს იყო საზოგადოებიდან წამოსული, ნატურალური აქცია, რომელსაც წინასწარ არავითარი მობილიზება და ორგანიზება არ ჰქონია.

ამიტომ, ვფიქრობ, რომ ხელისუფლებამ უკუშედეგი მიიღო, როგორც საშინაო, ისე — საგარეო პოლიტიკური გაგებით. თუ ამას დავუმატებთ სხვა ფაქტებს, 26 მაისი იყო ხელისუფლების მხრიდან დაშვებული ფატალური შეცდომა.

**— იმის თქმა გინდათ, რომ რეალურად, ხელისუფლების ის სარჩული, რაც მან ამ აქციებს დაუდო — თითქოს ისინი, რუსეთისგან იმართებოდა, საზოგადოებამ არ მიიღო?**

— ეს უკვე დიდი ხანია გვესმის და ხომ არ შეიძლება საზოგადოებამ ერთი და იგივე სცენარი მუდმივად დაიჯეროს? თუ საზოგადოება განწყობილია, რომ ერთი და იგივე მუდმივად „ჭამოს“, მაშინ ამ საზოგადოებას პერსპექტივა არ ჰქონია. ამას იჯერებს ის, ვისაც უნდა დაიჯეროს, რომ ვიღაცა „რაგატკებით“ აპირებდა სახელმწიფო გადატრიალებას.

თან, თვითონ ხელისუფლებაც ალოგიკურად იქცევა, როდესაც, ერთი მხრივ, ვიღაცეებს გადატრიალებაში ადანაშაულებს და რატომღაც მათ არ აპატიმრებს. გარდა ამისა, ხელისუფლება გადატრიალების თემას იყენებს პროპაგანდისთვის და არა პრევენციისთვის. ვფიქრობ, ეს ყველაფერი გაცვეთილია და საკუთრივ ხელისუფლების მხარდამჭერებსაც არ სჯერათ, რომ ასე სერიოზულად იყო საქმე, უბრალოდ, ყველა თავის დამოკიდებულებას აყალიბებს თავისი გემოვნების მიხედვით.

ასეთი ტიპის ქმედებებით ხელისუფლება უფრო და უფრო იმკაცრებს მანევრის საშუალებას, ანუ მისი სიხისტე აახლოვებს მისსავე დასასრულს. ხელისუფლების ქმედებები გამორიცხავს დიალოგს საზოგადოებასთან და როცა დადგება ჭეშმარიტების წამი, ასეთი ტიპის ხელისუფლებასთან შეთანხმება შეუძლებელი იქნება. აგრესია ბადებს აგრესიას და მუდმივად „მგელი მოდის“ ძახილში მგელი მართლა მოდის.

როდესაც მუდმივად გვესაუბრებიან სერგო ორჯონიკიძეზე და საბოლოო ჯამში საქართველოში „სერგო ორჯონიკიძე“ არ ჩანდა, ხელისუფლებამ ამ ყვირილით და უკომპრომისო საქციელით მიაღწია იმას, რომ მართლა გამოიკვეთა „სერგო ორჯონიკიძე“.

**— ირაკლი ოქრუაშვილი გყავთ მხედველობაში?**

— დიახ, და თუ სცენარი ზუსტად იმ მიმართულებით განვითარდა, როგორც იმ ფილმში ვითარდება, საკმაოდ მძიმე ფინალამდე მივალთ. როდესაც ადამიანს არ უტოვებ ველს პოლიტიკური ბრძოლისთვის, იგი „რაგატკებით“ კი არა, რეალურად გადადის ქმედებებზე და მართლა იწყებს შეიარაღებას. ყველა ქვეყანაში ტერორიზმის ინიციატორი ყველგან იყო ხელისუფლება, რომელმაც საწყის ეტაპზე არ დაუტოვა ადამიანებს სხვა მეთოდით ბრძოლის საშუალება.

იხ. 4 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

**განსჯა**

# „როდესაც სპეცრაზმელი საკუთარ თანამოქალაქეებს უსწორდებოდა, ის რუსეთს ურტყამდა“

(მესამე გვერდიდან)

ფაქტობრივად, ხელისუფლება თავისი ქმედებებით ტერორისტთა საფრთხეს კი არ ამცირებს ამ ქვეყანაში - აათკეცებს. 2004-2005 წლების ოქრუაშვილის შედარება ძალიან ძნელია დღევანდელ ოქრუაშვილთან, რომელიც რუსებზე რა ეპითეტებით გამოდიოდა, ყველას გვახსოვს. დღეს ეს ოქრუაშვილი ხელისუფლების მიერ დადგმული პროპაგანდის ნაწილი გახდა, მხედველობაში მაქვს ფილმი „კავკასია 2 - მეტასტაზები“, სადაც ოქრუაშვილი რუსეთის მოკავშირე გამოდის. ოქრუაშვილისგან ეს ფენომენი ხელისუფლებამ შექმნა. მე ამით ოქრუაშვილს კი არ ვამართლებ, მაგრამ იმ ტიპის ადამიანისთვის, როგორიც ოქრუაშვილი იყო, ეს ლოგიკური ქმედებაა.

**— როგორ ფიქრობთ, ოქრუაშვილის ეს ნაბიჯი სააკაშვილის გაფრთხილება იყო, რომ მას ყველაფერზე შეუძლია წასვლა, თუ ოქრუაშვილი უკვე რეალურად გადავიდა ქმედებაზე?**

— რუსეთი როგორი ქვეყანაა ჩვენ კარგად ვიცით. გამომდინარე იქიდან, რა საინფორმაციო რიტორიკა მიმდინარეობს რუსეთში; გამომდინარე იქიდან, როგორ იქცევა ჩვენი ხელისუფლება, რომელიც პრევენციის ნაცვლად, ხელს უწყობს უკომპრომისო საქციელით რუსეთთან არარსებული „დავითის და გოლიათის“ თემას... ყველა ამ მომენტის გათვალისწინებით, ოქრუაშვილს შეუძლია სიტუაციის მოდელირება. ძალიან მარტივად შესაძლებელია ასეთი გეგმის განხორციელება, მით უმეტეს, რუსებს 2008 წელს რეპეტიცია გავლილი აქვთ და ქართული ჯარის შესაძლებლობები და ქართული ხელისუფლების საქციელი კარგად აქვთ ნანახი. რუსებმა კარგად იციან, რა პანიკას გამოიწვევს მათი ნებისმიერი შემოტევა საზღვარზე.

**— ამის საპირწონედ ოპოზიციაში და კონკრეტულად - პოლიტიკურ „რვიანში“, თუ არის რესურსი, რომ შეცვალონ პოლიტიკური მიმართულება?**

— პოლიტიკური „რვიანი“ დღეს სრულად ინაწილებს იმ პასუხისმგებლობას, რაც მოხდა ქვეყანაში. მისი ფუნქცია ქართულ საზოგადოებაში იყო პოლიტიკური ცენტრის შექმნა, რომ ჩვენ კიდევ ერთხელ არ გავებმულიყავით ამ პოლიტიკურ თამაშებში, სადაც ვილაცა „პროა“ და ვილაცა — „ანტი“. ამ თამაშებს ეწირება სახელმწიფო ინტერესი. „რვიანი“ ძალიან გაერთო საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერთობაში და დაავიწყდა, რომ ხელისუფლების წყარო არის ხალხი. „რვიანს“, შესაძლოა, ჰქონდა რაღაც წარმატება საერთაშორისო თანამეგობრობასთან კომუნიკაციის აწყობაში, მაგრამ მას საერთოდ დაავიწყდა ხალხი.

დღესაც რომ ვთქვა, ამ მიმართულებით რაღაცა ტიპის აქტიურობას ვხედავ, აქედან გამომდინარე ველოდები, რომ ისინი ახლა მაინც დაიწყებენ აქტიურობას, რომ შექმნან პოლიტიკური ცენტრი, რითაც, სხვათა შორის, ხელისუფლებასაც გადაარჩენენ, ოპოზიციასაც და სახელმწიფოსაც გადაარჩენენ ცუდი შედეგებისგან. თუ ეს ანტი-პრო თამაშები გაგრძელდა, ამას ცუდი განვითარება შეიძლება მოჰყვეს. მე კი, „რვიანისგან“ ასეთი პოლიტიკური ცენტრის შექმნის რესურსს კი არა, სურვილსაც ვერ ვხედავ.

**— ამის გამო მას ხშირად უყენებენ ბრალს, რომ სააკაშვილს ხელისუფლების გახანგრძლივებაში ეხმარებიან...**

— ამ ომში იგი მართლაც ხელისუფლების მხარეს აღმოჩნდა, მაგრამ შორს ვარ იმ აზრისგან, რომ „რვიანი“ ხელისუფლებასთან შეთანხმებით მოქმედებს. საქმე ისაა, რომ, როგორც კი ანტი-პრო თამაშები იწყება, „რვიანი“ ყოველთვის აღმოჩნდება ხოლმე იმის მხარეს, ვინც ე.წ. პროდასავლურობას გაჰკივის, თუმცა, სინამდვილეში პროდასავლურს მე ვერავის ვხედავ ამ ხელისუფლებაში. ერთი მხრივ, ეკონომიკა რუსებს ჩააბარო, ეკონომიკური და ფასეულობათა სისტემა რუსულ მენტალობაზე ააგო და თან დასავლურობაზე ილაპარაკო, არასერიოზულია. დასავლეთი ხომ გეოგრაფიული ერთეული არ არის. დასავლეთი ფასეულობათა სისტემაა და ამითაა ის ჩვენთვის ღირებული. თუ შენ ეს ფასეულობათა სისტემა არ გინდა და მხოლოდ, გეოგრაფიულ ორიენტირებზე ლაპარაკობ, ეს ძალიან არასერიოზულია.



კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მენტალურად ჩვენ რუსებთან უფრო ახლოს ვართ. საინტერესოა, ჩვენი სპეცრაზმი რომელი სტანდარტით მოქმედებდა, დასავლურით თუ რუსულით?

იმ დარბევისას მთავარი პრობლემა ის კი არ იყო, რომ მიტინგი დაშალეს; არც ის, რომ ადამიანებს თავები გაუტყდათ... იმ ადამიანების ოჯახებმა მაპატიონ და, არც მსხვერპლი გახდა მთავარი პრობლემა. მთავარი პრობლემა ის მოტივაცია იყო, რომლითაც უსწორდებოდა სპეცრაზმელი საკუთარ თანამოქალაქეებს. იმ დროს, ის რუსეთს ურტყამდა. სპეცრაზმელი სახელმწიფოს კი არ ემსახურებოდა, ის ემსახურებოდა პოლიტიკურ ინტერესს. მათ აუხსნეს, რომ ის მშიერი პენსიონერი, განაწყენებული ადამიანი კი არ არის, ის არის რუსეთი, რომელსაც თავი უნდა გაუტეხო. ასე რომ, ეს ძალა თავად წარმოადგენს სახელმწიფოსთვის საფრთხეს.

**— თქვენ კითხვას სვამთ — თუ აქციის ორგანიზატორები დამნაშავეები არიან, რატომ არ იჭერენ ლიდერებს? სხვათა შორის, ბურჯანაძე თავადაც ითხოვს, დამიჭირეთო, მაგრამ ხელისუფლება ბურჯანაძეს რომ გარეთ ტოვებს და მის მარგინალიზაციას ცდილობს, ხელისუფლებისთვის ეს უფრო მომგებიანი არ არის?**

— ახლა მიდის კატა-თაგვობანას თამაში. იცით ჩემი დამოკიდებულება. მე არ ვარ ბურჯანაძეზე მაღალი აზრის, მაგრამ ბურჯანაძე დასავლეთის თვალში საკმაოდ წონადი პოლიტიკური ფიგურაა. ის ორჯერ იყო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარეა და მისი დაჭერა დასავლეთის მხრიდან ამ პროცესებში უფრო ღრმად ჩახედვის სურვილს გამოიწვევს, იქ კი თეთრი ძაფით ნაკერი საქმე დახვდებათ და ხელისუფლება ამას ერიდება. ხელისუფლებას ნინო ბურჯანაძის დაჭერა კი არ უნდა, მისი დისკრედიტაცია სურს, ამიტომ ანკესს უგდებს, მაგრამ ბურჯანაძე ცდილობს, არ წამოეგოს.

**— კონკრეტულად?**

— 26-ში ღამეს, გეხსომებათ, წაიყვანეს ბურჯანაძის შვილი. გათვლა იყო ასეთი - ბურჯანაძე, როგორც დედა, ძალიან შეშფოთდებოდა და ამით მოახდენდნენ მის დისკრედიტაციას — ხომ ხედავთ შვილზე ზრუნავს და სხვები არ აინტერესებსო. თუმცა, ბურჯანაძემ — „სადაც სხვისი შვილები, იქ — ჩემიცო“ და ეს ვაჟკაცური თვისებები მას კარგად ახასიათებს.

მეორე ფაქტი — გირაო. დააწესებდნენ მაღალ გირაოს, ბურჯანაძე გადაიხდიდა და შემდეგ იტყოდნენ, თანხა გადაიხადა და ამ დროს ასეულობით ადამიანი ციხეში რჩებაო. ასეთი ტიპის ანკესებს უგდებენ, მაგრამ ბურჯანაძე, ჯერჯერობით, თავიდან იცილებს.

**— რას ფიქრობთ, ბურჯანაძე, როგორც პოლიტიკოსი, მომზადებული შეხვდა ამ ყველაფერს?**

— ნინო ბურჯანაძეს კარგად აქვს ნამეცადინები ზურაბ ჟვანიასთან, მაგრამ მასზე, როგორც პოლიტიკოსზე, ვიმეორებ, მაღალი აზრის ნამდვილად არ ვარ. საერთოდ, სამწუხაროდ, არც ერთი ქართველი პოლიტიკოსის შესაძლებლობებზე არ ვარ მაღალი აზრის . ჩვენ გვაქვს პოლიტიკური ელიტის სერიოზული კრიზისი. ჩვენ გვყავს სახელმწიფო მოღვაწეები, მაგრამ არა - პოლიტიკური მოღვაწეები. ეს ადამიანები ქართულ სახელმწიფოს ნამდვილად გამოადგებოდნენ, წესიერებიც არიან და სახელმწიფოებრივად მოაზროვნეებიც, მაგრამ მათ არ აქვთ ის, რაც პოლიტიკოსისთვის აუცილებელია.

მაგალითად, მე ვთვლი, რომ დავით უსუფაშვილი არის ქართული სახელმწიფოს იდეალური მოღვაწე და მინდა იმ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ის იქნება სახელმწიფოს მშენებლობაში, მაგრამ როგორც პოლიტიკურ ლიდერს, მას აქვს მინუსები, თუმცა ეს მას უარყოფითად არ ახასიათებს. ამასაც აქვს თავისი პლუსები — იგი არ არის საკმარისად ავანტიურისტი, საკმარისად წამსვლელი დიდ რისკებზე იმისთვის, რომ სრულფასოვან პოლიტიკოსად იქნას განხილული.

განსაკუთრებით პრობლემატურები არიან ის ადამიანები, რომლებიც ხელისუფლების ნაწილი არიან და დღეს აკრიტიკებენ ყველაფერ იმას, რაც მათ დროს დაიწყო. ოქრუაშვილზე როდესაც ვლაპარაკობთ, ეს ტელედაჭერები, საროსკიპოში შევარდნები, ჯარისკაცების დედის გინებები და ბიზნესების ტერორი ხომ არ გახსოვთ, ვისგან გავიგეთ პირველად?

იგივე ბურჯანაძეს, შესაძლოა, სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენია, მაგრამ პოლიტიკური დანაშაული ბევრჯერ აქვს ჩადენილი. 7 ნოემბერზე ბევრი საუბარია, მაგრამ 2008 წელს ის იყო პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი და როდესაც ქუჩაში ასიათასობით ადამიანი იდგა, საკმარისი იყო მისი ერთი სიტყვა რომ ყველაფერი სხვაგვარად განვითარებულიყო.

ნურავინ იტყვის, რომ ის არ ფლობდა ბერკეტებს. ის იმ მომენტში იყო მთავარსარდალი და ხალხი გაუმაგრებდა ზურგს, მაგრამ მან ეს ნაბიჯი არ გადადგა. როცა იგი ამას იმით ამართლებს, რომ გუნდის წევრი ვიყავი და აბა რა მექნაო, თავის საწინააღმდეგო ჩვენებას იძლევა. ეს აღიარება იყო, რომ გუნდის წევრი ვიყავი და ამის გამო ცუდ რაღაცეებს ვაკეთებდიო.

**— დღეს შეიძლება ითქვას, რომ ბურჯანაძე, როგორც პოლიტიკოსი, დამთავრდა?**

— არა. მე არ მინდა, წაქცეულ ადამიანზე ცუდი ვთქვა, მაგრამ 26 მაისი მისი მხრიდან იყო ავანტიურა. შეიძლებოდა სხვანაირად მოქცევა და ბევრად უკეთესად გამოსვლა ამ ყველაფრიდან. მას შეეძლო ეს აქცია, ვთქვათ, დედა ენის ბაღში გაეგრძელებინა, უფრო მეტ ადამიანს მოიზიდავდა და უფრო მასშტაბური და ნაკლებ რისკიანი იქნებოდა.

**— თუმცა, ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ ბურჯანაძეს სწორედ ეს შედეგი აძლევდა ხელს და გამიზნულად მოქმედებდა...**

— გამიზნული იყო თუ არა, ეს მიზანიც შეცდომა იყო. თუ მისი მიზანი იყო მაღალი პოლიტიკური შედეგის მიღება და ამას თავის გატეხა სჭირდებოდა, თავის გაუტეხავად შეიძლებოდა ამ დივიდენდების მიღება.

**— დღეს რის წინაშე ვდგავართ, გვაქვს თუ არ შანსი, რომ კატაკლიზმების გარეშე გადავიდეთ განვითარების ახალ ეტაპზე?**

— რთული სიტუაციის წინაშე ვდგავართ. როგორც ჩანს, რუსული სცენარის განხორციელების საფრთხე, ჩვენი ხელისუფლების ვაჟკაცური რიტორიკის მიუხედავად, ერთიათად გაიზარდა. რაც შეეხება დასავლეთის მომენტს, არ გენიშნათ, ერთი მხრივ, მედვედევი რომ კადაფის მოუწოდებს, გადადექიო, და ამის საპასუხოდ, საფრანგეთის პრეზიდენტი საპასუხო განცხადებას აკეთებს. საქართველოზე ჯვარი არავის აქვს დაწერილი. ამ სამყაროში ბატონობენ ინტერესები და არა ლამაზი თვალები, მითუმეტეს, რომ ლამაზი თვალებიც არსად ჩანს. ასე რომ, ყველაფერი გაცვლადია და დღევანდელ ვითარებაში საქართველო ბევრად უფრო ადვილი დასახურდავებელია, ვიდრე ადრე იყო, თუნდაც ამ აქციამდე.

როდესაც შენ ასე იქცევი, დასავლეთი თავისიანად არ გთვლის. ის თვლის, რომ შენ ხარ უცხო, რადგან იმ სტანდარტებს, რომლებიც დასავლეთისთვის ფასეულია, შენ უფრო შორდები. სავაჭრო კი რუსეთს და დასავლეთს ძალიან ბევრი აქვთ, ენერგეტიკაში იქნება ეს, ერაყში, ავღანეთში თუ ლიბიაში.

**როზი ჯღამაია**

**„თავისუფლების ქარტია“**

## კიდევ ერთი პიროვნება, რომელსაც ლუსტრაციის შესახებ კანონი პირდაპირ ეხება, გია ჭანტურიაა



**საზოგადოებრივი და პოლიტიკური წრეებისთვის კარგად ცნობილი კიდევ ერთი ფიგურა, რომელსაც პარლამენტის მიერ დამტკიცებული „თავისუფლების ქარტია“, იგივე „ლუსტრაციის შესახებ“ კანონი პირდაპირ ეხება და აღმასრულებელ სტუქტურებში თანამდებობის დაკავების პერსპექტივას უსპობს, გია ჭანტურიაა.**

**საუბარია ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ყოფილ პრეზიდენტზე, რომელმაც აქტიურ პოლიტიკაში ჩართვა გასულ წელს სცადა, როცა „ქრისტიან-დემოკრატების“ მხარდაჭერით კენჭი თბილისის მერობისთვის იყარა.**

**მართალია, ჭანტურია დედაქალაქის მერობისთვის ბრძოლაში დამარცხდა, თუმცა „ქრისტიან-დემოკრატებს“ მაინც იმედი აქვთ, რომ იდეას „გაზი — ათი თეთრი, დენი — ხუთი თეთრი, წყალი — უფასოდ“ ახლო პერსპექტივაში ჭანტურიასთან ერთად მაინც განახორციელებენ.**

**დეპუტატ გია თორთლაძის მიერ ინიცირებული და „ნაციონალი“ უმრავლესობის მხრიდან ერთსულოვნად მხარდაჭერილი კანონი კი, რომლის გათვალისწინებით, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ლენინური კომკავშირის კომიტეტების ყოფილი წარმომადგენლები პოლიტიკურ თანამდებობებზე ველარ უნდა ვიხილოთ, ჭანტურიას, როგორც ალკკ ცკ-ის ყოფილ მდივანსა და კომკავშირის ცკ-ის ბიუროს წარმომადგენელს, ამ მხრივ პირდაპირ თანამდებობრივ შეზღუდვებს უწესებს.**

**აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „პირველი“ პირველ რიგში, თავად ჭანტურიას პოზიციითა და შეფასებებით, ასევე ზოგადად პოლიტიკასთან მიმართებაში მისი გეგმებით დაინტერესდა, თუმცა მერობის ყოფილ კანდიდატთან დაკავშირება ვერ შესძლო.**

**სამაგიეროდ ამ თემაზე განმარტებები „პირველს“ „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერებმა მისცეს.**

**„ჩვენ რომ ეს კანონი მოგვწონდეს, მას მხარსაც დავუჭერდით, მაგრამ ეს არ გავაკეთეთ სწორედ იმიტომ, რომ მასში სწორ მიდგომებს ვერ ვხედავთ“ — განუცხადა „პირველს“ გიორგი თარგამაძემ.**

**დეპუტატი ნიკა ლალიაშვილი კი დარწმუნებულია, რომ „თავისუფლების ქარტიას“ „არანაირი პრაქტიკული დანიშნულება და მნიშვნელობა არ ექნება“.**

**რაც შეეხება უშუალოდ გია ჭანტურიას, როგორც ლალიაშვილი აცხადებს, „ჭანტურია აღმასრულებელ ხელისუფლებაში თანამდებობაზე არც ყოფილა და არც სამომავლოდ ყოფნის სურვილი აქვს“**

**„თავისუფლების ქარტია“ პარლამენტმა 81 ხმით, ერთხმად უკვე დაამტკიცა და ის ძალაში 2012 წლიდან შევა.**

**ნათია ინაური.**

პირველი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

*როგორც დასავლური, ისე რუსული ლიბერალური მასმედია მუდმივად აკეთებს აქცენტს პრეზიდენტ მედვედევსა და პრემიერ-მინისტრ პუტინს შორის რეალურ თუ გამოგონილ დაპირისპირებაზე. რა ნაირ-ნაირ სათაურებს არ იგონებენ ჟურნალისტები თავიანთი მასალებისთვის, რომლებშიც აღწერენ იატაკქვეშა ბრძოლას 2012 წლის არჩევნების წინ, თუმცა ამგვარი დაპირისპირების დაწყებაზე თუ არა, მის შესაძლებლობაზე პრაქტიკულად უკვე 2008 წელს მედვედევის ინაუგურაციისთანავე ალაპარაკდნენ.*

*ამასთან, მედვედევი წარმოჩენილია, როგორც პუტინთან შედარებით უფრო ლიბერალი და პროდასავლური, რეფორმებისადმი მიდრეკილების მქონე პოლიტიკოსი, მას უკავშირებს გარკვეულ იმედებს დასავლურად განწყობილი რუსული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი.*

*მედვედევი და პუტინი ორი განსხვავებული პიროვნებაა, თავიანთი ცხოვრებისეული შეხედულებებითა და პრიორიტეტებით, ისევე როგორც საკუთარი მმართველობის სტილით. სხვა სიტყვებით, მათ მიდგომებში განსხვავებები გარდუვალი იყო და არ იყო მოულოდნელი ამგვარი განსხვავებები. ეს ეხება არა მხოლოდ მედვედევსა და პუტინს, არამედ ნებისმიერ სხვა „ტანდემს“ — ყოველ ცალკეულ პოლიტიკოსს, როგორც თვითკმარ პიროვნებას, ხომ საკუთარი „ხელწერა“ აქვს.*

*მაგრამ რამდენად არსებითია სხვაობები მედვედევის მიდგომას, ერთი მხრივ, და პუტინის მიდგომას შორის, ცენტრალურ პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით? არის სტრატეგიასა და ტაქტიკაში არსებული ეს განსხვავებები იმდენად მნიშვნელოვანი, რომ შეიძლებოდეს, მათ ვუწოდოთ იდეოლოგიური განსხვავებები?*

*ამასთან, არ უნდა დავკავდეთ საკითხით, თუ რომელი მათგანი გახდება რუსეთის მორიგი პრეზიდენტი, ჩვენი ინტერესის ობიექტია ის, თუ რამდენად რადიკალურად განსხვავებული რეალობა შეიძლება წარმოიშვას რუსეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში მედვედევის პრეზიდენტობის გაგრძელების შემთხვევაში იმასთან შედარებით, თუ რა ვითარება იქნება პუტინის პრეზიდენტად დაბრუნების შემთხვევაში.*

*ამ საკითხის გასარკვევად არ არის საჭირო თეორიული განსჯა და ძიებანი, საკმარისია, ოდნავ უფრო ყურადღებით დავაკვირდეთ მედვედევისა და პუტინის დამოკიდებულებას სახელმწიფო პოლიტიკის ზოგიერთი საკვანძო საკითხისადმი.*

# მედვედევი და პუტინი: განსხვავებულ იდეოლოგიათა კონკურენცია?

მედვედევი და პუტინი პრაქტიკულად ერთიანი არიან შემდეგ პუნქტებთან დაკავშირებით:

— ძლიერი ცენტრისა და სახელისუფლებო ვერტიკალის შენარჩუნება, რესპუბლიკებისა და მხარეების მეთაურთა დანიშვნა კრემლის მიერ, მათი კონტროლი უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან პრეზიდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლების მეშვეობით. სახელმწიფო მოწყობის ეს მოდელი ადრეული ვლადიმერ პუტინის მიერ არის შექმნილი, მედვედევიც მთლიანად იზიარებს პუტინის სისტემას, რუსული სახელმწიფოებრიობისთვის ამ, მართლაც და, გადამწყვეტ საკითხში. ამის შესახებ მან გასულ დღეებში პირდაპირ განაცხადა სკოლკოვოში გამართულ პრესკონფერენციაზე;

— დასავლეთის მიერ თავს მოხვეული „დემოკრატიზაციის“, განსაკუთრებით კი „ფერადი რევოლუციების“ მიუღებლობა როგორც საკუთრივ რუსეთის, ისე დსთ-ს ფარგლებში. აღნიშნულ საკითხში პუტინთან მედვედევის სოლიდარობის გამოვლენად შეიძლება, სხვა მოვლენებთან ერთად, მივიჩნიოთ 2008 წელს ცხინვალში სააკაშვილის ქმედებებზე ცალსახა რეაქცია და პირადად სააკაშვილთან შერიგების შესაძლებლობის გამორიცხვა;

— მედვედევისთვის, ისევე როგორც პუტინისთვის, მიუღებელია ამერიკული სარაკეტო თავდაცვის პროგრამა რუსეთის მონაწილეობის გარეშე. ამასთან, დასავლეთთან თანამშრომლობა ბევრ საკითხში, ნატოსთან თანამშრომლობის ჩათვლით — მისი აღმოსავლეთით გაფართოების გარეშე, იმდენადვე ახასიათებს მედვედევის პოლიტიკას, რამდენადაც პუტინისას, თუნდაც მედვედევის განცხადებები და მოქმედებები, გარეგნულად, შესაძლოა, უფრო „პროდასავლურად“ აღიქმებოდეს;

— მედვედევს არანაირი სურვილი არ გამოუხატავს, წავიდეს პუტინის წინააღმდეგ ხოდორკოვსკის საქმეში, რომელიც უკვე დიდი ხანია, რუსეთის ხელმძღვანელობის პრინციპულ პოზიციად იქცა;

— რუსეთი მედვედევის პრეზიდენტობის დროს თავის თავის პოზიციონირებას ახდენს, როგორც დემოკრატიული, ლიბერალური, ამ აზრით „ცივილიზებული საერთაშორისო თანამეგობრობისგან“ არაფრით განსხვავებული ძალისა. რუსეთი მხოლოდ თავის პოტენციალსა და მნიშვნელობას უსვამს ხაზს, მას სურს, რომ მსოფლიოში მას ანგარიში გაუწიონ, მაგრამ არ სურს, დასავლეთთან კონფრონტაციის მდგომარეობაში იმყოფებოდეს იდეოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით — მისი ოფიციალური იდეოლოგია „ანტისტალინური“, ზომიერად ნაციონალისტურია, დასავლური აზროვნების წესის ფარვატერშია მოქცეული. მაგრამ ყოველივე ეს იყო პუტინის პრეზიდენტობის დროსაც. ისტორიის ქექვა ტაქტიკური მოსაზრებებით, როგორც მაგალითად, კატინის გამო ბრალის „აღიარებაა“, ისევე, როგორც მცდელობები, საბჭოთა პერიოდის ყველა ნეგატივი გადაბრალდეს „სტალინის რეჟიმს“, ხოლო „სტალინის რეჟიმის“ მიღწევები მიეწეროს აბსტრაქტულ და დეპერსონიფიცირებულ „ხალხს“, მედვედევის პრეზიდენტობის დროს გაკვირვებას არ იწვევს, ვინაიდან სწორედ პუტინმა, როდესაც ის პრეზიდენტი იყო, თავის თავში ვერ იპოვა ძალები და პრინციპულობა, გადაეხვია ხრუშჩოვულ-გორბაჩოვულ-ელცინური კურსიდან უახლესი ისტორიის იდეოლოგიური შეფასების საკითხში. სწორედ პუტინი, როდესაც იგი აირჩიეს პრეზიდენტად, ეწვია ალექსანდრე სოლჟენიცინს სახელმწიფოს მიერ მისთვის ნაჩუქარ აგარაკზე და, ოფიციალური ინფორმაციის მიხედვით, მას ეკითხებოდა აზრს რუსეთის წინაშე მდგარი სხვადასხვა პრობლემის გარშემო. იმავე პუტინმა მხარი დაუჭირა სასკოლო პროგრამებში სოლჟენიცინის ნაწარმოებების შეტანას და „ტოტალიტარიზმის“ ისტორიის სწავლებას. იმის მაგალითები, რომ პუტინი ყოველთვის ცდილობდა „სტალინის რეჟიმისგან“ დისტანცირებას არსებული კონიუნქტურის სასარგებლოდ, კიდევ ბევრია, თუმცა იგი არასოდეს დაშორებია რადიკალურად კონსერვატულ პოზიციას, ლიბერალურის მიმართულებით. მაგრამ მედვედევზეც არ შეიძლება იმის თქმა, რომ იგი მკვეთრად გადაიხარა ლიბერალური შეფასებისკენ და საერთოდ ხაზი გადაუსვა რუსეთის ისტორიის საბჭოთა პერიოდს და ამ გზით შეეცადა, დაემსხვრია რუსული საზოგადოების უდიდეს ნაწილში ჩამოყალიბებული იდეოლოგიური შეხედულებები;

— რამდენადაც შეიძლება ვივარაუდოთ, მედვედევის „მოდერნიზაცია“ არანაირად არ გულისხმობს რუსეთში პუტინის პრეზიდენტობის დროს ჩამოყალიბებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების გადახედვას, ქონების გადანაწილებას და ა. შ.;

— ბელორუსიის ლიდერის ლუკაშენკოს მიმართ მედვედევს დაახლოებით ისეთივე დამოკიდებულება აქვს, როგორც პუტინს — ხარვეზებიანი, პრობლემური, რაც პრაქტიკაშიც პოულობს ასახვას — რუსეთსა და ბელორუსს შორის არსებული ურთიერთობები დღეს, ისევე როგორც უწინ, გასაუმჯობესებელია;

— კურილის კუნძულების პრობლემასთან დაკავშირებით მედვედევი, სულ ცოტა, ისეთივე „დერჟავნიკია“, როგორც პუტინი, თუ უფრო მეტი არა.

პრეზიდენტ მედვედევის პოლიტიკურ კურსსა და პრეზიდენტ, ამჟამად კი პრემიერ-მინისტრ პუტინის პოლიტიკურ კურსს შორის პრინციპული სხვაობები მართლაც რომ ცოტაა. მასმედია სპეკულირებს საკადრო საკითხებთან დაკავშირებით გარკვეულ უთანხმოებაზე, უცხოურ მედიაში დიდი ხმაური ატყდა მედვედევისა და პუტინის მიერ ლიბიის პრობლემის განსხვავებული შეფასების გამო, მაგრამ ყოველივე ეს თუკი ვარგა იმის ინდიკატორად, რომ მოქმედ პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის კულისებს მიღმა მიმდინარეობს ბრძოლა (რაც ასევე ფრიად საეჭვოა), ასეთი ფაქტები მაინც არანაირად არ მოწმობს მათ შორის სიღრმისეულ იდეოლოგიურ სხვაობებზე. პრეზიდენტ მედვედევის სიტყვები იმასთან დაკავშირებით, რომ მას და პუტინს ბევრი საერთო აკავშირებთ („ჩვენ გვაქვს საერთო — იურიდიული განათლება, ჩვენი ფასეულობებიც ძალიან ახლოა ერთმანეთთან. ჩვენ ორივეს გვსურს, რომ ჩვენი ქვეყანა იყოს თანამედროვე, ეფექტური, კარგად გამოიყურებოდეს, ხალხი ცხოვრობდეს ნორმალურად, მიიღებოდეს გონივრული და განხორციელებადი გადაწყვეტილებები, უზრუნველყოფილი იყოს უფლებები, გვქონდეს დივერსიფიცირებული თანამედროვე, მოდერნიზებული ეკონომიკა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ტაქტიკასთან დაკავშირებით ჩვენ აბსოლუტურად თანხვედრი პოზიციები გვაქვს. მე ვფიქრობ, რომ ეს კარგია, რადგან ჭეშმარიტება უნდა იბადებოდეს გარკვეული პოზიციების ურთიერთშეხების, ხანდახან ერთმანეთთან დაპირისპირების შედეგად. ეს წინსვლის საფუძველია“), საკმაოდ გულახდილად ჟღერს. ის, რომ პუტინი „მოდერნიზაციის „თანდათანობით“ განხორციელებას უჭერს მხარს, ხოლო მედვედევი უფრო დაჩქარებულ ტემპს ემხრობა (მედვედევი: „როგორც მე გავიგე, იგი ამბობს, მას მიაჩნია, რომ მოდერნიზაცია — ერთგვარად მშვიდი, თანდათანობითი მოძრაობაა, მე კი მიმაჩნია, რომ ჩვენ გვაქვს შანსები და ძალები, რომ ეს მოდერნიზაცია განვახორციელოთ უფრო სწრაფად, ყოველივე იმისათვის ზარალის მიყენების გარეშე, რაც უკვე გაკეთდა, და ამ გზით კარგ შედეგს მივაღწიოთ“) — მხოლოდ სიტყვების აბსტრაქტული თამაშია.

გაცილებით უფრო სერიოზული სხვაობების აღმოჩენა მედვედევისა და პუტინის მიდგომებს შორის შეიძლება ირანის საკითხის გარშემო. პუტინის საპრეზიდენტო მმართველობის დროს ორმხრივი ურთიერთობები გაცილებით უფრო დინამიკურად და პერსპექტიულად ვითარდებოდა. რატომ გამოვყოფთ ირანის საკითხს: რუსეთ-ირანის თანამშრომლობა გადამწყვეტი თუ არა, ძალიან მნიშვნელოვანია ერთიანი ევრაზიული ფრონტის ჩამოსაყალიბებლად ახლო აღმოსავლეთში, კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში დასავლეთის გავლენის ზრდის საწინააღმდეგოდ. ამას წინათ პროირანულ საიტზე „ირან.რუ“ ერთ სტატიაში შემდეგი აზრი გამოითქვა: „ვლადიმერ პუტინი რუსეთის ხელმძღვანელებიდან ბოლო 30 წლის მანძილზე ერთადერთი იყო, რომელმაც მკაფიოდ ჩამოაყალიბა რუსეთისა და ირანის ერთობლივი ინტერესები, თანამშრომლობის და სტრატეგიული პარტნიორობის მეთოდები. სწორედ მის დროს გაჟღერდა თეზისი, რომ ირანისა და რუსეთის კავშირი ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში სტაბილურობის გარანტია“.

ყოველივე ეს მართლაც ასეა, მაგრამ არ შეიძლება დაგვავიწყდეს ერთი ფრიად მნიშვნელოვანი დეტალი: პრეზიდენტ პუტინს შეერთებულ შტატებში ურთიერთობების ქონა მოუწია ჯორჯ „დაბლიუ“ ბუშის ადმინისტრაციასთან, რომელიც ახორციელებდა ძალზე ხისტ და გამომწვევ საგარეო პოლიტიკას, მათ შორის პოსტსაბჭოთა სივრცეში, რაც საკმაოდ აშკარას ხდიდა რუსეთის ინტერესებს. პუტინის ცნობილი „მიუნხენური სიტყვა“ 2007 წელს, რომელიც გამოირჩეოდა დასავლეთის მიმართ უპრეცედენტოდ კრიტიკული ტონითა და შინაარსით, წარმოთქმულ იქნა მძიმე საერთაშორისო ფონზე. პუტინის პრეზიდენტობის პერიოდი ბუშის ეპოქის ჩასვენებამდე ცოტათი ადრე დასრულდა — 2008 წლის დასაწყისში (ობამა არჩეულ იქნა იმავე წლის ბოლოს). მედვედევს პრაქტიკულად ახალი თანამდებობის დაკავებისთანავე მოუხდა ობამასთან თანამშრომლობა (ამ მომენტამდე იყო მოკლე, მაგრამ მედვედევისთვის მძიმე გამოცდის პერიოდი — აგვისტოს ომი საქართველოში). ობამას ადმინისტრაციამ მუშაობის დაწყებისთანავე გამოაცხადა რუსეთთან ურთიერთობებში „გადატვირთვის“ შესახებ, რამაც რუსულ-ამერიკული ურთიერთობების გარკვეული (გარეგნული) გაუმჯობესება გამოიწვია. ირანი ასეთ ვითარებაში, როგორც ჩანს, გახდა რუსულ-ამერიკულ კულისებსმიღმა მოლაპარაკებებში დიპლომატიური ვაჭრობის საგანი. მაგრამ ეს არ შეიძლება მიეწეროს მხოლოდ სუბიექტურ მიზეზებს და ყოველივე დავიყვანოთ „მედვედევის ფაქტორზე“. ჯერ კიდევ გასარკვევია, როგორ იმოქმედებდა პუტინი მის ადგილზე, ასევე უცნობია, აუნთებდა თუ არა მედვედევი მწვანე შუქს გაეროს ახალ სანქციებს ირანის წინააღმდეგ, ობამას ადგილზე ბუშის გუნდის რომელიმე „შევარდენი“ რომ მჯდარიყო. ასევე მხოლოდ ვარაუდი შეიძლება იმის თაობაზე, რამდენად შეიცვლება რუსეთის საგარეო პოლიტიკა, მათ შორის ირანთან მიმართებით, თუკი ობამა საბოლოოდ არ გაითვალისწინებს მოსკოვის ინტერესებს ანტისარაკეტო თავდაცვითი სისტემის საკითხში და დაიწყებს „ლიბიის სცენარის“ განხორციელებას, დავუშვათ, სირიაში.

გვიხდება კონსტატაცია, რომ რუსეთის საგარეო და ნაწილობრივ თვით საშინაო პოლიტიკის მომავალი მიმართულება არა მხოლოდ და არა იმდენად შემდეგი პრეზიდენტის პერსონაზეა დამოკიდებული — „მედვედევი ან პუტინი“, არამედ ამერიკულ სტრატეგიაზე: თუკი ეს სტრატეგია აშკარად ხისტი და წინახისებური იქნება, ამან შეიძლება გამოიწვიოს მოსკოვის შესაბამისი რეაქცია. თუმცა აშშ-ის ჭეშმარიტი ინტერესების შენიღბვა რუსეთის მიმართ მუდმივად არ გამოვა, ამიტომ ნებისმიერ შემთხვევაში მოსალოდნელია „გადატვირთული“ ურთიერთობების გარკვეული გაგრილება. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს გაგრილება ახლო მომავალში იმაზე უფრო სერიოზული ხასიათის ვერ იქნება, ვიდრე ჯორჯ ბუშ-უმცროსის მმართველობის ეპოქაში. ხოლო კითხვა, თუ „ტანდემიდან“ რომელია უკეთესი რუსეთისთვის — ჩვენი შეხედულებით, ნაკლებად სარგებლიანია ყოველივე იმის გათვალისწინებით, რაც ზემოთ ითქვა, უფრო კონკრეტულად: მედვედევსა და პუტინს, როგორც პოლიტიკოსებს შორის, პრაქტიკულად არანაირი არსებითი იდეოლოგიური სხვაობა არ არსებობს. პირობითი დაყოფა მედვედევის „პროგრესის პარტიასა“ და პუტინის „სტაბილურობის პარტიას“ შორის სულაც არ ასახავს ფასეულობით-იდეოლოგიურ განსხვავებებს მათ შორის, არამედ სხვაობებს მმართველობის სტილსა და ტაქტიკურ მიდგომაში, ასევე ორი ლიდერის გარემოცვის პარტიკულარისტულ ინტერესებს.



**მაგრამ სუბიექტური ფაქტორის სრული იგნორირება — „მედვედევი ან პუტინი“ — მაინც არ შეიძლება. თვით ერთი და იმავე სტრატეგიის ფარგლებში ამ ფაქტორთან დაკავშირებული სხვაობები შეიძლება გარკვეულწილად განმსაზღვრელი მნიშვნელობისაც კი აღმოჩნდეს. ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში უფრო სასარგებლო შეიძლება აღმოჩნდეს პუტინის, როგორც უფრო „ხისტი“ მმართველის იმიჯი, რომელსაც თანამედროვე „ერის მამობაზეც“ კი შეუძლია პრეტენზიის ქონა, ან უფრო „ფლექსიბელური“ და „თანამედროვე“ მედვედევის იმიჯი. მაგრამ მოცემულ ეტაპზე მეტად რთულია, ამთავითვე იმის გამოცნობა, თუ რომელი სიტუაცია იქნება უფრო მეტი — ისეთი, რომელშიც მედვედევია უფრო ეფექტური, თუ პუტინი.**

გულბაათ რცხილაძე

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

***ორიოდე დღის წინათ ქართულმა ტელეარხებმა გაავრცელეს ცნობა, რომ რესპუბლიკის გარეთ გაპარებას და სამუდამოდ დაკარგვას გადაურჩა ფიროსმანის ნახატები — „მამალი და კრუხ-წიწილა“, „დაჭრილი მეზღვაური“ და „კახური ღვინო“.***

***ახლახან გამოვიდა ფიროსმანის შემოქმედებისადმი მიძღვნილი მწერალ ჯემალ მეხრიშვილის წიგნი „გათავისუფლება“, რომელშიც დიდი მხატვრის ზოგიერთ ნახატზე და მათ შორის „მამალი და კრუხ-წიწილა“ სრულიად ახალი მოსაზრებაა გამოთქმული.***

***მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ წიგნის სწორედ ამ თავს.***

# „ЧТО-ТО“-ს საიდუმლო

## ფიროსმანის ერთი ნახატის გამო

ფიროსმანის ნახატებში გაცხადებული მხატვრული სამყარო ჩემთვის თავიდანვე ნაცნობი, გასაგები, მშობლიური და სისხლხორცეული აღმოჩნდა. ხოლო პირველი შეხედვისთანავე ორ ნახატზე ისეთი სიცხადით ამოვიცან საკუთარი ბავშვობა, რომ მხატვრის გულთმისნობამ სუნთქვა შემიკრა — ეს ყველაფერი ასეთი სიზუსტით როგორ წარმოიდგინა ანდა საღებავებით რანაირად ხერხდება მისი გადმოცემა-მეთქი!

პირველი სურათია მხატვრის მიერ სოფლის თემატიკაზე ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე სახით შექმნილი „მამალი და კრუხ-წიწილას“ ერთ-ერთი ვარიანტთაგანი.

1984 წელს ლენინგრადის გამომცემლობამ „ავრორა“ უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე 10 000 ტირაჟით დასტამბა დიდი მხატვრის ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი და მდიდრული, ფერადი ალბომი (26X34 სმ) „ნიკო ფიროსმანი“.

ალბომს წინ უძღვის ცნობილი რუსი ხელოვნებათმცოდნის, ერასტ კუზნეცოვის მეცნიერული გამოკვლევა.

სამწუხაროდ, ე. კუზნეცოვი ფიროსმანის ამ ნახატის „მამალი და კრუხ-წიწილა“ სრულიად არასწორ ინტერპრეტაციას გვთავაზობს. მოუსმინეთ.

„თვითონ ფიროსმანიშვილს თავის ბავშვობაზე არაფერი უამბია, მაგრამ ამას ღრმა კვალი უნდა დაეტოვებინა მასზე, რის შესახებაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ ნახატების პატარა ჯგუფით... ამ სურათებში სხვადსხვა კომპოზიციურ ვარიანტებში მეორდება სრულიად ყოველდღიური მოტივები: სოფლის ეზო, მამალი და კრუხ-წიწილა, ჭიშკრის ღიობთან მდგარი ბიჭუნა, **რომელსაც გამოთხოვებისას დედა ხელის ქნევით ემშვიდობება“.**

ე. კუზნეცოვს სწორედ შეუნიშნავს მხატვრის ამ თემაზე შესრულებული სურათების სხვადასხვა კომპოზიციურ ვარიანტში გამეორებული სოფლური ყოფის სრულიად ყოველდღიური მოტივები, მაგრამ მოულოდნელად მცდარ დასკვნას აკეთებს.

**„...ბიჭუნა, რომელსაც გამოთხოვებისას დედა ხელის ქნევით ემშვიდობება“.**

ხელოვნებათმცოდნის ამგვარ აბსურდულ ახსნას ნულზე დაჰყავს როგორც ნახატის შინაარსი და მასზე ასახული იმწუთიერი ვითარება-განწყობილება, ისე თვით ფიროსმანის მხატვრული შესაძლებლობა და ჩანაფიქრი: კი მაგრამ, სურათს რა ეტყობა, საიდან ჩანს, **დედა თავის ბიჭუნას ხელის ქნევით რომ ემშვიდობება?!** და რომ საერთოდ, მხატვარს აქ დედაშვილის დამშვიდობების მომენტის გადმოცემა სურდეს?!

მაშ, მოდი, გამოწვლილვით გავარჩიოთ დამშვიდობების ხასიათიცა და სურათის შინაარსიც.

ერთ ადგილას მყოფი ორი გულითადი ადამიანი გამომშვიდობებისას ერთი მეორეს ანდა ერთმანეთს ხელს მაშინ უქნევენ ხოლმე, როცა ერთი მათგანი სადღაც მიდის ან მიემგზავრება, მეორე კი ისევ ადგილზე რჩება ანდა, როცა ერთი და იმავე ადგილიდან ორი ახლობელი პიროვნება ერთდროულად სხვადასხვა მხარეს მიდის ან მიემგზავრება.

აქ? აქ კი ოდნავ მოღებულ ჭიშკართან მდგარ ბიჭუნას რაზე ეტყობა, საიდან ჩანს, რომ იგი სადღაც შორს და დიდი ხნით მიდის ან მიემგზავრება, დედა კი ხელის ქნევით უნდა დაემშვიდობოს?! თანაც დედა ვინმეს — ამ შემთხვევაში თავის შვილს — ხელს კი არ უქნევს, არამედ სახეს იჩრდილავს, შორეთში ცქერა რომ გაიადვილოს! ამასაც რომ თავი დავანებოთ, ეს რანაირი გამოსალმება გამოდის, როცა დედა შვილს საერთოდ არ უყურებს და სადღაც შეშფოთებით გაიყურება, ბავშვი კი დედისგან ზურგშექცევით დგას და მას არ უცქერის, ვერ ხედავს!!!

ამავე ვარიაციის მეორე ნახატში უფრო „უარესი“ მდგომარეობაა: შეშფოთებულ დედას მარჯვენა ხელი ქოხის შემრუდებული სვეტისთვის შეუვლია, მარცხენა კი ალელვებისგან გულზე მიუკრავს!

ე. კუზნეცოვის ამგვარ არასწორ ინტერპრეტაციას, ჩემი აზრით, ორი მიზეზი უდევს საფუძვლად. ჯერ ერთი, ეტყობა, იგი ცუდად იცნობს საერთოდ, სოფლურ და, მით უმეტეს, ქართული სოფლის ყოფას. თანაც ღრმად არ ჩაჰკვირვებია ფიროსმანის ამ ნახატს, განუსჯელად მინდობია და ალა-ალა იმეორებს მეორე, ერთ-ერთი ქართველი ავტორის ასევე სრულიად ზერელე და მცდარ მოსაზრებებს.

წელან მოყვანილ ციტატაში განვითარებულ თავის აზრს ე. კუზნეცოვი ასე განმარტავს.

„ამ ნახატებზე სპეციალური ყურადღება პირველმა მიაქცია **გასტონ ბუაჩიძემ** და თავისუბურად ახსნას შეეცადა. იხ. გ. ბუაჩიძე, „ფიროსმანი ანუ ირმის გასეირნება“.

მართლაც, გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ 1981 წელს რუსულ ენაზე დასტამბულ თავისი ამ წიგნის რვაგვერდიან (165-172ძ, თანაც მრავლისმეტყველ ერთ-ერთ ქვეთავში „შვილის წასვლა“ გასტონ ბუაჩიძეს თავისებურად უცდია ფიროსმანის ამ ოთხი ნახატის (აქედან ორია „მამალი და კრუხ-წიწილა“, ორიც „კრუხ-წიწილა“-ძ ახსნა-განმარტება.

ავტორი აი, რანაირად მსჯელობს ერასტ კუზნეცოვის არასწორი ინტერპრეტაციის მიზეზით ჩემ მიერ სადისკუსიო საგნად გადაქცეულ ერთ-ერთ შესანიშნავ ნახატზე „მამალი და კრუხ-წიწილა“.

„სცენა თამაშდება სოფლის ეზოში, დედაკაცსა და ბიჭუნას შორის... ბიჭუნა კარის გაღებას აპირებს... იგი ზურგშექცევით დგას მშობლიური ეზოსკენ, სადაც მისმა ბავშვობამ ჩაიარა. ფიქრებით უკვე იქაა, სადაც განუჭვრეტლობა ელოდება... თუმცა იქნებ მეზობლის ეზოში ან მდელოზე მიდის, ანდა სულაც ალალბედად მიემართება ცხოვრების გზაზე...“

გ. ბუაჩიძე ამ ქვეთავს ასე აგრძელებს.

„Тревожная и заботливая, женщина приложила одну руку к серцу, а другую Простерла в сторону, не видя мальчика, но что-то высматривая вдали“.

ქვეთავი ასე მთავრდება.

„ბიჭუნა ერთი შეხედვით შვიდიოდე წლისა იქნება.

ნიკოც ამ ასაკისა იქნებოდა, როცა მირზაანი მიატოვა“.

როგორც ვხედავთ, ამ სურათზე ასახულ სოფლის სრულიად ჩვეულებრივ ყოფაში გ. ბუაჩიძე განსაცვიფრებელ სიმბოლოებს პოულობს და ეს თითის სიგრძე სოფლელი ტლუ ბალღი ლამის დაჭაბუკებულ რუს ალექსეი პეშკოვს დაამსგავსოს, რომელმაც მიატოვა რა მშობლიური ბუდე, რუსეთის უკიდეგანო სივრცეებში ხეტიალს შეუდგა და მალე მსოფლიოს მწერალ **მაქსიმ გორკად** (1868-1936) მოევლინა! მართალია, ნიკო ფიროსმანაშვილი თავის დროზე უფრო შორს წავა — გენიოსი მხატვრის სახელს მოიხვეჭს, მაგრამ მეტისმეტი სულწასულობაც არ არის მოსაწონი: საჭიროა მოთმინება და ფიროსმანის საათიც ჩამოჰკრავს!

ჰოდა, ჭიშკართან ატუზული ცარიელტარიელ პატარას მარტოკა ვინ გაუშვებდა, ანდა მაშინდელი კარჩაკეტილი საზოგადოებრივი ურთიერთობის, გზისა და ტრანსპორტის (თუ უტრანსპორტობის?!) პირობებში 7 წლის სოფლელი ბიჭუკელა სად უნდა წასულიყო ან ვის მისდგომოდა?! მაგრამ მართლა ასეც რომ ყოფილიყო, ნუთუ ვინმე დაიჯერებს, ქართველი დედა თავის ღვიძლ შვილს სანდო კაცს არ ჩააბარებდა ან შარაგზამდე მაინც არ მიაცილებდა და მხოლოდ დერეფნიდან ვალმოსახდელი ხელის დაქნევით დაკმაყოფილდებოდა?!

ფიროსმანს მართლა მსგავსი რამის თქმა რომ სურვებოდა, ღვთის წყალობა, სულ სხვანაირი შინაარსისა და კომპოზიციის ნახატს შექმნიდა!!!

ჰოდა, თავისი წრეგადასული სიმბოლურ-ფანტაზიორული გაზვიადება-შეუსაბამობა თვითონ ავტორსაც უგრძვნია და აგერ, ერთგან თან თავსაც იზღვევს.

„თუმცა იქნებ მეზობლის ეზოში, ანდა მდელოზე მიდის...“

სოფლურ ყოფაში ჩაუხედავსა და თანაც მხოლოდ სიმბოლური პარამეტრებით გატაცებულ ავტორს, რომელიც ვერ მიხვდა სურათზე ასახულ ნამდვილ ვითარებასა და განწყობილებას, ერთ-ერთი თავისივე ფრაზა „აბეზღებს“.

„Тревожная и заботливая женщина приложила одну руку к серцу, а другую Простерла в сторону, не видя мальчика, но что-то высматривая вдали“.

ხედავთ, როგორც ე. კუზნეცოვს ჰგონებია, დედა შვილს ხელის ქნევით კი არ ემშვიდობება, რომელსაც გ. ბუაჩიძე ბედის საძიებლად ასფურცელასავით ლამის ცხრა მთას იქით უპირებს გაგზავნას, არამედ თურმე „что-то высматривая вдали“.

ღმერთმანი, გასაკვირია! კი მაგრამ XIX საუკუნის 60-იანი წლების მიწურულს ამ „Тревожная и заботливая“ დედაკაცს მირზაანის ცაში მოულოდნელად ისეთი



მაინც რა უნდა დაენახა — მფრინავი ხალიჩა, ცეპელინი, „მესერშმიდტი“, შვეულმფრენი თუ მფრინავი თეფში, რომ სადღაც წამსვლელ ბავშვსაც კი აღარ აპყრობს ყურადღებას და „что-то высматривая вдали“.

ანუ შორეთს ზვერავს!

ერთი სიტყვით, ძაღლის კუდიც სწორედ ამ ფრაზაშია ჩამალული — „высматривая вдали“ და სანამ არ დავაზუსტებთ, რა არის ეს „что-то“, მანამ ვერც ამ ნახატის ჭეშმარიტ შინაარს-განწყობილებას გავიგებთ და ვერც ფიროსმანის შემოქმედების თაყვანისმცემლები დააღწევენ თავს ამ ორი ავტორის გაბატონებული, მცდარი ინტერპრეტაციის ლაბირინთებს.

ახლა კი დადგა დრო ფიროსმანის ამ ნახატის შინაარსის ჩემებური ვერსია გამოვამზეურო. ოღონდ ყველაფერი უფრო ნათელი და ადვილად გასაგები რომ გახდეს, ამ ვერსიის პირველწყაროს მოყოლა დამჭირდება.

სოფელ ცლუნკაანში გათხოვილი ჩემი მეორე დეიდა, ანიჭკა ჩვენი სერის მოპირდაპირე მხარეს, კვიწინაანხევგალმა, პირდაპირ გედიძის ხეობის თავზე წამოყუდებულ თავკვეთილაზე ცხოვრობდა. ჩვენი სერიდან იქამდე ორ კილომეტრამდე ძლივს იქნება და კარგად მოჩანდა ის პატარა, ოთხკომლიანი განაპირა უბანი, სადაც ახლა ზაფრის მომგვრელი ნაპარტახალიღაა.

მაშინდელი ყაირათიანობის კვალობაზე ზაფხულობით ყოველ ოჯახს ორი-სამი ბუდობა კრუხ-წიწილა ჰყავდა და იქაურობა მექათმეობის პატარა ფერმასაც კი მოგაგონებდათ. ამ მიზეზით ნაირფერი ქათმებით, ყვინჩილა-ჩრიხვებითა და წიწილებით მოჩითული ეს უნარგავო, მოშიშვლებული მწვანიანი ძერა-ქორებისა და მიმინოების გემოგასინჯულ სათარეშოს წარმოადგენდა!!!

მირზაანის გორებიდან გამოფრენილი ვეებერთელა ძერა-ქორები სულ ამ უბნის თავზე უვლიდნენ ზანტ ირაოს. საკმარისი იყო უბნის დედაკაცებს ყურადღება მოსდუნებოდათ და ფათერაკიც იქვე იყო ჩასაფრებული. უცებ ატყდებოდა კრიახ-წიაქი, მაგრამ უკვე გვიანი იყო: მიწას ნადავლით მოწყვეტილი ძერას თვალშისაცემად ჩამოშვერილ მძლავრ ჭანგებში საცოდავი წიწილა ილანდებოდა ანდა გაძალიანებული ჩრიხვი ფართხალით კრიახებდა! ძერა კი ფრთების ღონიერი ქნევა-ქნევით სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა და მირზაანის გორებისკენ გეზაღებული, თანდათან წერტილს ემსგავსებოდა!!!

უბნის დედაკაცები რა საოჯახო საქმეებშიც უნდა ყოფილიყვნენ გაბმულნი, ცალი თვალი მეზენიტეებივით მაინც სულ ცისკენ ეჭირათ და როგორც კი მოახლოებულ ხიფათს იგრძნობდნენ, მაშინვე გნიასით გამოიშლებოდნენ კარ-მიდამოში და ბრძოლაც იწყებოდა: საკბილოს თვალიერებით დაბლა-დაბლა მფრინავ ძერაკუდას ვინ ფიჩხს უქნევდა, ვინ მზითვის სპილენძის ლაგანსა თუ ძველ ვედროს საგანგებოდ ამისთვის გამოჭრილ და შენახულ ჯოხს ურახუნებდა გამეტებით. თან აქეთ-იქიდან შეჰკიოდნენ.

— ძერა, ძერა, ძერა!.. აქშა, შე სატურევ!.. უუუ!.. აბა, თუ შეგვეპუოს!.. დარისხოს ღმერთმა!.. ჰაე, ჰაე, ჰაე!..

ამგვარ უხიფათო გნიასს თვალყურშეჩვეული ძერები მხოლოდ მაღლა-მაღლა იწევდნენ, უფრო ხალვათი წრით დასტრიალებდნენ უბანს და ხელსაყრელ წამს მოთმინებით უცდიდნენ ხოლმე!

ერთი სიტყვით, გასტონ ბუაჩიძის ის ამოუხსნელი „что-то“ სხვა არაფერია თუ არა წიწილების დაუძინებელი მტერი, ძერა, რომელიც „в дали“ უკვე შეუნიშნავს ფიროსმანის ამ ნახატის „Тревожная и заботливая“ დედაკაცს და დროა წიწილების დასაცავად რამე ღონისძიებას მიმართოს!

პირდაპირ გამაოგნებელია ფიროსმანის ტალანტი, გლეხური ინსტინქტი, მხატვრული ჯადოქრობა თუ გენიალურობაში აყვანილი პრიმიტივიზმი: სრულებით ძუნწი, თითქოსდა დაუდევარი, მკრთალი შტრიხებით დახატული ხელმოჩრდილული და შორეთში მაცქერალი დედაკაცის შეშფოთებულ სახეში ისეთი უტყუარი დამაჯერებლობით არის გადმოცემული წიწილებზე ძერას მოსალოდნელი თუ მოახლოებული თავდაცემის საშიშროება, როგორც კი დავხედე ამ დედაკაცს, მაშინვე დიდი ხნის წინათ ცაში ასეთივე შეშფოთებით მაცქერალი ის სულგანათლებული ქალები: დეიდაჩემი, მისი მარცხენა მეზობელი, ბენაანთ ქვრივი ბაბალე და დეიდაჩემის მაზლების, დათასა და ჯორიმიხას მეუღლეები — თებრო და ნატალია დამიდგა თვალწინ!

ფიროსმანს თითქოს ზუსტად მათი განცდა და განწყობილება დაეჭიროს და გადაეხატოს! ის კი არა, ამ შედევრულმა ნახატმა ტაშტებისა და ვედროების მაშინდელი ყურთასმენის წამლები ბრახუნჭლარუნიც კი ჩამასმინა!

ახლა მამალთან და კრუხ-წიწილასთან გადავინაცვლოთ. მსგავსი კომპოზიციური განლაგებისას მამალი, ჩვეულებისამებრ, თავის „ცოლ-შვილს“ დაჰხარის ხოლმე: წიწილებს მამრულად ურუკრუკებს, ხშირად არა, მაგრამ თავისი ღირსება-შესაძლებლობის ნათელსაყოფად ღონიერი ჭანგებით პატარებს იქნებ ერთი-ორჯერ ნაგავიც გაუქექ-გამოუქექოს... ფრთის ბოლოთი მიწის ღონიერი შემოხაზვით კრუხს თავისებურად ეარშიყება! მაგრამ ფიროსმანის ამ ნახატზე სრულიად საწინააღმდეგო ვითარებაა ასახული. მამალი კრუხ-წიწილის გვერდით კი იმყოფება, მაგრამ შინაგანად მათთან არ არის! დააკვირდით რადარივით მომარჯვებულ მამლის თავ-კისერს — შორეულ სივრცეში იმანაც რაღაც საეჭვო შენიშნა! ამასვე ადასტურებს პროფილით მდგარი მამლის მარჯვენა თვალიც, რომელიც სადღაც ზევით დაჟინებულ-დაძაბული ცქერისაგან ისე დაბრეცილა, რომ თვალის გუგა თეთრ ახალმთვარეს დამსგავსებია! მამლის ეს მარჯვენა თვალი ისეთი ექსპრესიულობითაა დახატული, რომ მიუხედავად იმისა, მისი მარცხენა თვალი არ მოჩანს, შინაგანად განსაცვიფრებელი სიცხადითა ვგრძნობთ — ისიც ასეთივე სიფრთხილით იქნება აშტერებული უძირო სივრცეს. მამალმა რაღაც მოსალოდნელი საფრთხე იყნოსა! ამას მოწმობს ასაკრიახებლად ფართოდ გაღებული ნისკარტი და „მაუზერის“ სასხლეტივით გამოკვეთილი ენა! მაგრამ ჯერ კიდევ სივრცეს აკვირდება და იცდის, რათა ოჯახის ქათმობა ცრუგანგაშით არ დააფრთხოს და თავი არ შეირცხვინოს. ხოლო თუ საფრთხე აშკარა გახდება, მაშინ კი ომახიანი კრიახით გააფრთხილებს თანამოძმეებს, თვითონ კი მტერთან შესაბმელად მოიმშვილდება.

ვინც კარგად დააკვირდება, უეჭველად შენიშნავს: ნახატის პერსპექტივაში სულ სხვადასხვა ადგილას და თან პირითაც სულ სხვადასხვა მიმართულებით მდგარი შეშფოთებული დედაკაცისა და დაჭიმული, თვალდაძაბული მამლის მზერა სადღაც შორეულ სივრცეში რაღაც ერთ წერტილს არის მიჩერებული. ეს კი ჰაერში მოლივლივე, ჯერ წერტილად მოჩინარი ქორია, რომელსაც გ. ბუაჩიძე „что-то“-ს უწოდებს.

ბოლოს ნახატზე გამოსახულ შვიდიოდე წლის უძლებ ბავშვსაც მივხედოთ.

„რატომ უძლები?“ — გაკვირვებით იკითხავს ბევრი. იმიტომ რომ, რაკი ბიოგრაფიიდან ვიცით, ნიკო ფიროსმანაშვილიც დაახლოებით ამ ასაკისა წაიყვანეს მირზაანიდან, აგრეთვე ცნობილია მისი ლეგენდარული ბედუკუღმართობა და მსოფლიო სახელგანთქმულობა, თანაც რადგან მხატვარმა იგი სოფლური ეზოყურის ჭიშკართან დააყენა, ხოლო გ. ბუაჩიძის აზრით, ფიროსმანი ამ ბავშვში სწორედ თავის თავს გულისხმობს, მკვლევარი გასაოცარი სიხალვათით ცდილობს ამ ყმაწვილის წარმომსახველობა-მისწრაფება აქედანვე რაღაც მისია-მესიანური სურვილებითა და წინათგრძნობებით დააორსულოს და სიმბოლური თუ პირდაპირი გაგებით ახალი ცხოვრების დაწყების სურვილით იგი მშობლიური კერის უკვე მიმტოვებლად თუ მიტოვებაზე მეოცნებედ წარმოგვიდგინოს.

ავტორს ქვეთავისთვის მაგიტომაც მიუცია ასეთი კატეგორიული სათაური „შვილის წასვლა“. თუმცა გ. ბუაჩიძე აქვე ცოტა არ იყოს, გაკვირვებით შენიშნავს: დედა შორეთს ზვერავს, ბავშვს კი არ უყურებსო.

ალბათ, არ იყო საჭირო და ამიტომ არც უყურებდა!

იმ დუხჭირიან ცხოვრებაში სოფლელ დედაკაცს სადა ჰქონდა საიმისო წუთისოფელი მთელი დღე თავისი ბავშვ(ებ)ისთვის ეცქირა — იმოდენა დღიურ საოჯახო საქმეს როდისღა მოასწრებდა?!

ეს ბიჭუნა ფიროსმანმა რაღა მაინცდამაინც ჭიშკართან — სოფლის ორღობეში თუ ახალი ცხოვრების დიდ გზაზე გასასვლელ ამაღლევებელ სიმბოლოსთან! — დახატა?!

ნახატზე არსაიდან ჩანს, რომ ახალი ცხოვრების დაწყების დაუოკებელი წყურვილით შეპყრობილ ამ პატარას მაინცდამაინც მშობლიური კერის ახლავე მიტოვება, ქალაქად გადასვლა და სახელმოხვეჭილ მხატვრად გახდომა ეოცნებებოდეს ან უკვე განზრახვა უკარნახებდეს...

მანამდე გრძელი, ტანჯვიანი გზა ექნება გასავლელი...

**ჯემალ მეხრიშვილი.**



### გზავნილი კიევიდან

გიგზავნით ლექსებს, რომელთა უმრავლესობა, ჩემი აზრით, პირდაპირ თუ ირიბად გამოხატავს ქართველი კაცის ეჭვებს, ტკივილებსა და სინანულს სევდიანი დღევანდელობის გამო. მინდოდა აქვე დამოუკიდებლობის დღეც მომელოცა, მაგრამ ამ მართლაც ნათელი თარიღის თანამედროვე ქუფ-რი კონტექსტი, სამწუხაროდ, საამისო საშუალე-ბას არ იძლევა. და მაინც – გაუმარჯოს საქართ-ველოს, ყველა ჭეშმარიტ ქართველს, ცხადია, „საქართველოს რეს-პუბლიკის“ სრული „პირადი შემადგენლობის“ ჩათვლით.

პატივისცემით –
თქვენი რაულ ჩილაჩავა

# დღეს გამოჩნდება, რა გაიმარჯვებს – ძალა, სიმართლე თუ ისევ შური

**რაულ ჩილაჩავა**

## უცხო

*ასზე მეტ ქვეყანაში ვარ ნამყოფი და თავი უცხოდ არსად მიგრძ-ნია, მითხრა ევგენი ევტუშენკომ...*

ყველგან უცხო ვარ... ვერა,
ვერ ვგრძნობ თავს შინაურად...
ამ დუნიაზე, სად ურიცხვი
ხალხი ირევა,
ხან ნადირი ვარ, ხანაც კიდევ
მონადირე ვარ
და როცა მიჭირს, გამოტყვრება
მაშინ ნაურუ.

სიცარიელე... მარტოობის ცივი
თვალები...
სარკმლების მიღმა – გაყინული
ტბის ზედაპირი.
სიზმარში – გული, განგმირული
გასრი რაპირით,
ცხადში – დამწვარი სოხუმები და
ცხინვალები.

ვერ ვამჩნევ საგნებს...
უკვე მზერაც დავიზიანე.
ისე მივდივარ, მომხვდურს მამა
ვეღარ ვუცხონე,
და მიკვირს: მე და მსგავსნი ჩემნი
რად ვართ უცხონი,
როდესაც სხვები სულ ხვდებიან
თავისიანებს!

## მრავალთავი

ჩემი დედულ-მამული
მატარებელს მაგონებს,
რომელსაც კოვბოები
უძარცვავენ ვაგონებს.

თითქოს თვალწინ გაშლილა
უსასრულო პრერია,
კივის ორთქლმავალი და
ცაც კივილის ფერია.

გზისპირ გადანგრეული
ჩანს მეისრის ჯიხური
(აქ უნახავთ ტანკების
შეჯახება ჯიხვური).

არსად სამეგრელო და,
ვაი, არსად გურია,
კითხულობენ მგზავრები:
„შემდეგ რა სადგურია?

ნუთუ ჩვენი რკინიგზა
ვიღაც ჩარჩმა იყიდა,
მიტაცებულ ვაგონებს
ვინ დაიხსნის ჩიხიდან?..“

რასაც გვეომებიან,
რასაც გვედავებიან,
ეს ჩვენი ისტორიის
მხოლოდ ქვეთავებია.

ჩუმდებიან მგზავრები,
ყველა ფიქრობს თავთავისს,
ბორბლების დაგადუგში
მწიფდება მრავალთავი.

## მთავარი

მთები თანდათან აორთქლდნენ,
გაჰქრნენ,
წინ ტაფობია, ვაკეა, ველი.
თითქოს საომრად მიუძღვი
ლაშქარს,
და მრჩევლად მახლავს მაკიაველი.
ის ეშმაკია, ის ჭკვიანია,
ის ხედავს, მიწის წიაღში რა დევს.
იცის უცილოდ, რაა მთავარი,
მთავარზე ფიქრში ღამეებს ათევს.
მისთვის ისაა მხოლოდ და მხოლოდ
ნაღდი მეუფე, ნაღდი სარდალი,
ვინც დააწყვილა, დაამეგობრა
ამ ქვეყნად ძალა და სამართალი.
ჩვენ წინ მივიწევთ... ჰა, საწიერზე
მოჩანს მომხდურთა სილუეტები.
დღეს გამოჩნდება, მათთან
ჭიდილში
ბედს გასაწირად თუ ვემეტებით.
დღეს გამოჩნდება, რა გაიმარჯვებს,
ძალა, სიმართლე თუ ისევ შური,
ბოლოს და ბოლოს თუა მთავარი
სპა, იარაღი, ფული და პური!
გაჩაღდა ბრძოლა... იფეთქა ცეცხლმა,
აზანზარებენ სივრცეს ზათქები.
ვიქნები ცოდვა თუ დავეცემი,
მით უფრო, თუკი ვეღარ ავდგები.

## ნავი

ნაპირზე ერთი ნავი აბია,
რომელსაც მუდამ თავს ადგას
დაცვა.
ქვეყნად მრავალი მინახავს ნავი,
მაგრამ ასეთის მნახველი არც ვარ.
დრო და დრო იგი ხალხით ივსება
და მეხოფენი უსვამენ ხოფებს,
არავინ იცის, რა აკავშირებთ,
რა აქვთ საერთო იმ ნავში მყოფებს.
ზღვას რას გაუგებ,
ზღვა ხან წყნარია,
ხან გიჟია და გადარეული,
თუ მოისურვა, მას შეუძლია
ერთ წამში დანთქას ნავი ეული.
მაგრამ რატომღაც ასე არ ხდება
და ნავი მუდამ ბრუნდება უკან,
ალბათ, მესაჭეს აქვს იდუმალი
და მხოლოდ მისთვის ცნობილი
რუკა.
ოღონდ ეგ არი, უკან ბრუნდება
მუდამ ერთი და იგივე მგზავრი,
სხვები არ ჩანან, თითქოს სტიქიამ
რატომღაც მათზე იყარა ჯავრი.
ვერც ვერასოდეს გამოჩნდებიან,
ვერც აღადგენენ ნაპირთან კავშირს.
მათ ეს მაშინვე უნდა სცოდნოდათ,
როცა სხდებოდნენ...
ხელმწიფის ნავში!

## მეისრე

ჩემს ადრინდელ შეკითხვას
ვუბრუნდები მე ისევ:
„მაინც როდის ჩათვლიმე,
უბედურო მეისრევ?
ყველაფერი ერთბაშად შენ რომ
გადაგაბრალეს,
ვინ არიან ისინი, რომ მღერიან
„ძაბრალეს“?
არაფერი არ არის ცხადი და
გასაგები,
რჩება გაუშიფრავი რუნები და
საგები.
ეს სადაგი დღეებიც ჰგვანან
იეროგლიფებს,
რებუსია ბუნების, ტყეში ია რომ
კრიფე!
ჩვენ არ ვიცით, ამ ქვეყნად
რომელს რა შეუძლია,
შეხე, ეგერ ელმავალს რკინის
ბორბლებს უცვლიან.
წამიც და გრიგალივით იგი კვლავ
გაქანდება,
ძველი ნაგაქანარიც ისევ
გაგაქანდება,
და შენ იცი, მეისრევ, ახლა მაინც
იმარჯვე,
ჯავრი არ შეარჩინო იმ კვერნებს
და იმ არჩვებს,
თითქოს ყველაფერი რომ გაიგეს
და გაშიფრეს,
(ზოგი, ძირს რომ ძლივს დადის,
ფიქრობს, ვითომ ცაში ფრენს),
ერთი ესეც გაიგონ – კაკალი ხარ
კერკეტი,
სანამ ჩაგიქროლებენ,
გადასწიე ბერკეტი!

## ჰამურაბის შემოსევა

თითქოს უცაბედად
გვეძგერა ჰამურაბი,
ფლოტი ჩაგვიძირა,
წაგვართვა ჰამერები,
დაგვტოვა ბითურად
იმერ-ამერები...
ბებია მოწამლულ
ბიას ამურაბებს.

## და ყველაფერი კვლავ არის ცუდად...

ილიას დროსაც, აკაკის დროსაც,
გალაკტიონის, მათ შორის,
დროსაც,
წვერებიანიც, ქაჩალიც, ქოსაც,

დროს აგინებდა, დრო იყო ცუდი...
ქვეყანა, სავსე ყრუთი და ცრუთი,

გახდა მშობელი ყრუთა და ცრუთა...
და ყველაფერი კვლავ არის ცუდად,
და ყველაფერი კვლავ არის ცუდად.

## უტოპისტი

შიგ მორევში შეუტოპავს
და უშიშრად უტოპია,
უფრო მეტიც, მიმზიდველად
ჩვენებია უტოპია,

ჩაუთვლია თავი მომხრედ
უთოფო და უტყვიოსი,
გაღმა გასულს შეხვედრია
მონანიე, უტყვი ოსი.

## სეპარატისტები

როგორც კოდალას
ხელისგულით
ვერ დააპურებ,
ისე ამათაც
ვერ მოიმხრობ
ხელშეკრულებით.

## ლომებო!

დაბერებულხართ, ლომებო,
შეგთხელებიათ ფაფრები.
თქვენს დანახვაზე ყოველთვის
უსიტყვოდ დავიზაფრები.
მეგონა, შუქს ვიხილავდი,
როს დამთავრდება გვირაბი,
ვნახე კი, რა მონდომებით
გაყრიან ტლინკებს ვირები.

## ქართველოგა

ნახევარი – ფეისბუქში,
ნახევარი – სკაიპში,
ნახევარი გლოვაში და
ნახევარი – კაიფში,
პირველთაც და მეორეთაც
გველოდება კაი „ფშიკ“.

## თეატრალი მეამბოხის პორტრეტი

თავზე – ბერეტი,
წელზე – „ბერეტა“,
ორდენზე – ბანტი,
ნახმლევზე – ბინტი,
ჯიბეში – „ბაუნტი“,
ფიქრებში – ბუნტი...

## გიჟ-ვრაცუა

ვინმე გიჟუაშვილის
ჭკუით მე ვარ გიჟი.
მეჯიბრება ჭადრაკში,
მემუქრება ქიშით.
მალე გამომაბამენ
მისი ცხენის ძუას.
მეტის ღირსი არცა ვარ,
მართლაც გიჟ-ვრაცუა!

უკრაინა, კიევი. 30 მაისი, 2011 წ.



**ნოდარ ჯალაღონია**

# მჯერა, ქართველად მოვკვდები და ქართულ მიწად დავრჩები

* * *

სანამდე ვცოცხლობთ არ ვიცით
თურმე, სამშობლოს ფასი.
ბევრის ჯილდო და ტიტული
ყოფილა თურმე ფარსი.
ფასი ედება ამ ქვეყნად,
მხოლოდ სამშობლოს ქებას.
სხვა ყველაფერი დროს მიაქვს,
სხვა ყველაფერი ქრება.
და თუ ცოცხლებმა არ ვიცით,
სიკვდილის მერე ვხვდებით,
მხოლოდ სამშობლოს ვეკუთვნით
ცოცხლებიცა და მკვდრებიც.

## „სიახლე“

ხანდახან ხდება ასედაც,
ადიდებენ და აქებენ,
უცხოურ სიბილწ-სიავეს
ზოგჯერ სიახლეს არქმევენ.
სხვათა ფეხის ხმის აყოლა,
მართლაცდა დასაგმობია.
მისაღებია სიახლე
თუ ჩვენს ადათ-წესს სჯობია.

თორემ, თუ ავედევნებით
ფიქრს უვიცსა და უგვანოს,
ბოლოს დავრჩებით ამ ქვეყნად,
უჯიშოდა და უგვაროდ.

* * *

სანამდე ქართულ მიწას და
ქართულ ცას ვეალერსები,
სანამ მთვრალი ვარ ქართული
ენით, სიტყვით და ლექსებით.
სანამ სამშობლოს ვუყურებ
და მამულს ვებულბულები,
სიკვდილო, ნუღარ მაშინებ
და ნუღარ მედიდგულები.
რამდენიც უნდა ეცადო,
ვიცი, ამაოდ დაშვრები,
მჯერა, ქართველად მოვკვდები
და ქართულ მიწად დავრჩები.

## მხოლოდ საკუთარ დროის შვილია

სხვაგვარი ფიქრის გულში გავლება
სულ ამაოა, სულ ტყუილია,
ყველა მოსული ამ ქვეყანაზე
მხოლოდ საკუთარ დროის შვილია.
მხოლოდ აწმყო და დღე დღევანდელი,
სხვა ყველაფერი თურმე წყალია.
სხვა ყველაფერი ამ ქვეყანაზე
დრო-ჟამს მიაქვს და წარმავალია.
დროა სასტიკი და ულმობელი,
ყველას წირავს და ყველას იმეტებს,
ვინც არ იცხოვრა ამ ქვეყანაზე
თავის ხალხის და ქვეყნის იმედით.
არ უწერია ქვეყნად დარჩენა,
არ უწერია, ჩემო ბატონო,
ვისაც ღმერთი და ვისაც სამშობლო
არ მფარველობს და აღარ პატრონობს.

* * *

საქართველოში უდგას პატრონად
ყველა თაობას, ყველა დროებას
იგი, რაც ბრძანა დიდმა ილიამ –
– „ენა, მამული, სარწმუნოება“.

## გათიშე და იბატონე

ასე იყო ოდითგან და,
ვაგლახ, დღესაც აღარ გვტოვებს.
იყო მტრების იარაღი –
– გათიშე და იბატონე.
იცის საქართველოს მტერმა,
(დაამტკიცა ბევრჯერ დრომაც),
ხშირად გვიჭირს ქართველობას
ერთმანეთის გვერდით დგომა.
ჩვენი ამგვარი ზნით და ნირით
მტერი იყო კმაყოფილი,
მარცხდებოდა საქართველო
კუთხეებად დაყოფილი.
და თუ მაინც გადავრჩით და
აღარ გავხდით ლუკმა მტრების,
ისევ აღმაშენებლებით,
ისევ თავდადებულებით.
სხვა ვერავინ ვერ გვიშველის,
სხვა ვერავინ გვიპატრონებს,
თუ თვითონ არ დავამარცხეთ –
– გათიშე და იბატონე.
ჩვენო ცაო, ჩვენო მიწავ,
ჩვენო ფიქრო სანატრელო,
უკვდავი და მარადია
ერთიანი საქართველო.

* * *

ნაღდი ლექსი და სტრიქონი
ყველა დროების შვილია.
ისევ ვკითხულობ რუსთაველს,
ვაჟას, აკაკის, ილიას.
გულს ისევ მიდარდიანებს
ეული ლექსის კივილი,
გურამიშვილის გოდება
და ტატოს სულის ტკივილი.
რა დამავიწყებს კარგ ლექსებს,
ისევ ვიხსენებ, ვიგონებ,
ისევ გულდაგულ ვკითხულობ
გალაკტიონის სტრიქონებს.
ვინა თქვა ლექსის სიძველე,
თუ გულს მალამოდ ედება.
ნაღდი ლექსი და სტრიქონი
თურმე არასდროს ბერდება.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

**მოსაზრება**



***კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი ლინკოლნ მიჩელი, რომელიც სამეცნიერო დონეზე პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციას და, მათ შორის, საქართველოს ყურადღებით იკვლევს, საუბრობს ზოგად კურსზე, რომელსაც, მისი აზრით, დღეს საქართველოს ხელისუფლება ადგას და რაც, მისი აზრით, არ არის თანხვედრაში იმ მოთხოვნებთან, რომლებიც საზოგადოებაში არსებობს. ლინკოლნ მიჩელს ამერიკაში რადიო „თავისუფლება“ ტელეფონით დაუკავშირდა, მას დათო ჩაგანავა ესაუბრა.***

***გთავაზობთ საუბრის ჩანაწერს.***

# მოსახლეობის ხმა პოლიტიკაში არ ისმის

**– რას ფიქრობთ რუსულ ფაქტორზე ქართულ პოლიტიკაში? რუსული ფაქტორი პოლიტიკურ დისკურსში წინა პლანზე გამოდის ხოლმე, როცა ქვეყანაში კრიზისია. ამ საკითხის რაციონალიზაცია ორივე მხარეს ხდება, „მოღალატეების“ დარქმევით და ასე შემდეგ“ რას ფიქრობთ ამ ფაქტორის შიდაპოლიტიკაში გამოყენებაზე?**

– თუ დააკვირდებით რუსულ მედიას, ისინი გულმოდგინედ აშუქებენ ამ ყველაფერს, როგორც სააკაშვილის მთავრობის დასასრულს. მგონია, ეჭვს არ იწვევს, რის ნახვა სურს აქ რუსეთს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოპოზიციაში არიან ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ კონტაქტები რუსეთთან, რაც, უკეთეს შემთხვევაში, შეუსაბამოა, ვითარების არაადეკვატური შეფასებაა; უარეს შემთხვევაში, საქმეში ფულია გარეული, ამ დონეზეა ურთიერთობები, რაც ცუდია. კარგი ამბავია საქართველოსთვის, რომ ეს მცდელობები არაა წარმატებული. ყველაფერ ამის მიუხედავად, არის საქართველოში ამ ფაქტორის ზედმეტად გამოყენების ტენდენცია. კი, რუსეთს სურს, რომ საქართველოს ეს მთავრობა დაეცეს, მაგრამ ამის მშვიდობიანად მოხდენის შესაძლებლობა გაცილებით არარეალურია, ვიდრე ამის ჩვენებას მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი ცდილობს.

**– ერთ-ერთი ფაქტორი, რომელზეც ოპოზიცია აკეთებს აქცენტს, ქვეყნის სინგაპურიზაციაა. მათ დისკურსში ხშირად ისმის, რომ ქვეყანა დასავლეთისკენ არ იხრება, ჩვენ ვასუსტებთ დემოკრატიას და მივდივართ სინგაპურის გზაზე, სადაც უმთავრესი ფაქტორი ფულია და არა დემოკრატია, როგორც ასეთი.**

– სინგაპური სუსტი შედარებაა, რადგან სინგაპური ქალაქი-სახელმწიფოა და საქართველო ქვეყანაა, თუმცა, მე მგონი, სიახლე არაა, რომ ეს მთავრობა მიდრეკილია ძლიერი სახელმწიფო აპარატისკენ და ძლიერი ბიზნესგარემოსკენ, რაც, უფრო კონკრეტულად, ნიშნავს ცუდ მდგომარეობას შრომით დაქირავებულთათვის, ეს კი არის წინაღობა დასავლეთთან ურთიერთობაში და არა მარტო ევროპასთან, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც. თუ, მაგალითად, ამერიკის წინა ადმინისტრაცია ხელს უწყობდა საქართველოს ამ მთავრობას უკიდურესი მემარჯვენე ეკონომიკური იდეალების გზით ევლო, ახლანდელი ადმინისტრაცია ამას არ ემხრობა. ამ სიტუაციაში საქართველო თავს უფლებას ვერ მისცემს დამოკიდებული იყოს მხოლოდ ერთ პოლიტიკურ ჯგუფზე ამერიკაში და არა მეორეზე. ეს არაა გონივრული საქართველოსთვის.

**– რატომ ვერ ხედავს მთავრობა მთლიან სურათს? ჩვენ ვხედავთ ამ გადახრას ობამას ადმინისტრაციისგან უფრო მარცხნივ და, ზოგადადაც, მსოფლიო პოლიტიკაში ეს ტენდენცია შეინიშნება... ამ სიტუაციაში საქართველოს მთავრობა თითქოს თამაშგარეშეა, სადღაც წარსულში რჩება იმ რიტორიკით და დისკურსით, რომელიც, როგორც თქვენც აღნიშნეთ, ექსტრემალური მემარჯვენე იდეოლოგიისაა.**

– ამაზე, ალბათ, თვითონ უკეთ უპასუხებენ, თუმცა, ნაწილობრივ, ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ მთავრობაში არიან ადამიანები, რომლებსაც გულწრფელად სჯერათ ექსტრემალური ლიბერალიზაციისა და არიან ისინიც, რომლებიც უფრთხილდებიან კარგ ურთიერთობებს კონკრეტულ უკიდურეს მემარჯვენე ანალიტიკურ ცენტრებთან ამერიკის შეერთებულ შტატებში; ისინი, რომლებიც ფიქრობენ, რომ კარგ პაბლისიტის იზიდავენ ამ პოზიციით, მაგალითად, მსოფლიო ბანკისგან ან სხვებისგან, როცა ისინი სხვადასხვა მხარდამჭერ განცხადებას აკეთებენ, თუმცა, მეორე მხრივ, ბუნებრივია, რომ ეს მიდგომა ნეგატიურ მხარესაც მოიცავს, თუმცა ამაზე საქართველოს მთავრობა არ ფიქრობს.

**– როგორი იქნებოდა თქვენი მიდგომა ამერიკა-საქართველოს ურთიერთობაში ხელისუფლების ადგილას? ან, უფრო სწორად, რას შესთავაზებდით, როგორი პოზიცია იქნებოდა ბალანსში გლობალურ დონეზე მიმდინარე ცვლილებებთან?**

– დააბრუნონ დემოკრატია საქართველოს შიდაპოლიტიკის ცენტრალურ ადგილას. ამ წუთას პრობლემაა ის, რომ არის გადაწყვეტილების მიმღებთა ერთი ჯგუფი და ისინი ატარებენ ეკონომიკურ პოლიტიკას, ხალხისგან რაიმე მონაწილეობის ან პასუხისმგებლობის გარეშე, და მეორე მხარეს არის ხალხი, რომელიც, სიმართლე რომ ითქვას, არ არის, ზოგადად, ულტრალიბერალურად განწყობილი. ხალხი, ისევე როგორც ევროპის დიდ ნაწილში, უფრო სოციალ-დემოკრატია. ასე რომ, უკეთესი დემოკრატიული სტრუქტურა რომ გქონდეთ, ეს ხალხი რომ მონაწილეობდეს პოლიტიკის ფორმირებაში, მიიღებდით შედეგს, რომელიც გამოხატავდა იმას, რაც ქართველ ხალხს უნდა. ამ გზით თქვენ არ იქნებოდით ასეთი გაუცხოების მდგომარეობაში დანარჩენ ევროპასთან. და ასევე არ გექნებოდათ ასეთი გაუცხოებული ურთიერთობა ამერიკის ახლანდელ ადმინისტრაციასთან, რომელიც ადამიანების შრომითი უფლებების დაცვისკენაა მიდრეკილი.

**– თუმცა ხელისუფლება სულ უფრო ძლიერი ხდება კრიზისების დაძლევაში და, მიუხედავად სხვადასხვა შეფასებისა – ობამას ადმინისტრაციისა თუ ევროპის – ხელისუფლება ისევ ინარჩუნებს ძალაუფლებას. ის მოგებულია არჩევნებიდან არჩევნებამდე, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც თქვენ ამბობთ, ხალხი უფრო პროშრომითი უფლებებისკენაა მიდრეკილი, ვიდრე ულტრალიბერალიზმისკენ, რომელსაც ხელისუფლება ატარებს.**

– ის მოგებულია ყოველთვის იმიტომ, რომ არ არის საკმარისი სივრცე შეჯიბრისთვის. რეალური პოლიტიკური პროცესი ვიწრო ჯგუფის კონტროლქვეშაა და არ არის საკმარისი დებატები ამ თემებზე. არ არის იდეათა შეჯიბრება. კი, ისინი იგებენ არჩევნებს, თუმცა ეს ჩემთვის არ არის დემოკრატიის ტრიუმფის დემონსტრაცია...

**– რაღაცნაირად ეს ყველაფერი წინააღმდეგობრივია. ანუ ერთმანეთს ეწინააღმდეგება, ერთი მხრივ, ხალხის და, მეორე მხრივ, იმ მცირე ჯგუფის სურვილი, რომელიც, ხალხისგან განსხვავებული პოზიციის მიუხედავად, ძალაუფლებას ინარჩუნებს... როგორ ფიქრობთ, ხალხში არასაკმარისი ძალაა იმისათვის, რომ რეალური ცვლილებები მოახდინოს?**

– მაგას ჯერ კიდევ ვნახავთ... ამ ეტაპისთვის საქართველოს მთავრობა, იმ საგარეო დახმარების წყალობით, რომელსაც ის იღებს, ახერხებს მისცეს ხალხს საკმარისი იმისათვის, რომ ის მასშტაბურ დონეზე არ სძულდეთ; მეორე მხრივ, ახერხებს იმას, რომ ძალაუფლება შეინარჩუნოს. ეჭვი მაქვს, რომ ეს, შესაძლოა, კიდევ რაღაც ხანი არც შეიცვალოს; ეჭვი მაქვს, რომ ჩვენ გვექნება მსგავსი საუბარი სამი წლის შემდეგაც.

**– რას გულისხმობთ?**

– ვფიქრობ, საქართველოში, სავარაუდოდ, ბევრი არაფერი შეიცვლება. მგონია, რომ ეს მთავრობა საკმარისად ფესვგადგმულია. ისინი თუ ძალიან პოპულარულები არ არიან, უკიდურესად არაპოპულარულებიც არ არიან. ისინი აკონტროლებენ პოლიტიკურ სივრცეს, რომელიც სხვებისთვის შეზღუდულია, პოლიტიკური თავისუფლება შეზღუდულია, რაც ძალიან ართულებს სერიოზული ოპოზიციური მოძრაობების გაძლიერებას– იმას, რომ ოპოზიციურმა მოძრაობებმა მოიზიდონ ფული, მიმართონ ამომრჩეველს, გამოიყენონ მედია... და ეს ყველაფერი გარანტიას აძლევს ამ ხელისუფლებას დარჩეს ძალაუფლებაში კიდევ რაღაც პერიოდი.

**– როგორ ფიქრობთ, ეს ისაა, რაც დასავლურ ქვეყნებს უნდათ? რატომ ხდება ასე?**



– როცა თქვენ დასავლურ ქვეყნებზე საუბრობთ, უნდა აღინიშნოს, რომ არის ბევრი დასავლური ქვეყანა, რომელთაც განსხვავებული მიზნები აქვთ და არიან ისეთებიც, ვისაც დიდად არც ადარდებთ რა მოხდება საქართველოში. საქართველო საკმარისად შორსაა „რადარიდან“ და თუ საქართველო რჩება არადემოკრატიულ, მაგრამ შედარებით სტაბილურ ქვეყნად, რომელიც გზავნის ჯარებს ავღანეთში – ეს ბევრ ევროპულ ქვეყანას ხელს აძლევს. სხვა ევროპული ქვეყნები, რომლებსაც სურთ, რომ საქართველოს ინტეგრაცია დაჩქარდეს, უძლურნი არიან რამე გააკეთონ. ამერიკის შეერთებული შტატები უძლური არ არის, მაგრამ ლეგიტიმურად შეიძლება იფიქროს, რომ ეს არც ულირს. ამერიკის შეერთებული შტატები ხომ ასეთ შემთხვევაში მძიმედ ჩაერეოდა მცდელობაში შეეცვალა პრეზიდენტი, რომელიც იდეაში პროამერიკელია და რომელიც მხარს უჭერს ამერიკის საგარეო ინტერესებს, ამიტომ აქ არასტაბილურობა ამერიკის შეერთებული შტატებისთვის არახელსაყრელია. ეს არ არის მისი მთავარი პრიორიტეტი.

**– განსაკუთრებით რუსეთთან გადატვირთვის პირობებში...**

– ზუსტად... ამიტომ ადვილია ყველასთვის საქართველო თავის ნებაზე მიუშვას, საქართველოს ხელისუფლება კი საკმარისად ჭკვიანია, რომ ამით ისარგებლოს.

**– როგორ შეიძლება სიტუაცია შეიცვალოს?**

– ძნელი სათქმელია. მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ დასავლეთი და ამერიკის შეერთებული შტატები უკან დაბრუნდნენ და აიძულონ ხელისუფლება მეტი დემოკრატიისკენ გადაიხაროს. თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს. მეორე მხრივ, ოპოზიციამ - არა იმან, რომელიც ქუჩაში გადის – ბევრი უნდა იმუშაოს იმისათვის, რომ მომხრეები გაიმრავლოს და ამ გზით აიძულოს საგარეო ძალები ქვეყნის შიგნით სამართლიანი არჩევნების მიღწევაში დაეხმარონ. თუმცა მანამ, სანამ დასავლეთი გააგრძელებს ფულის დაბანდებას საქართველოს ხელისუფლებაში და მისგან სანაცვლოდ არაფერს მოითხოვს, ბევრი არაფერი შეიცვლება.

**– რატომ აკეთებს ამას დასავლეთი, სტაბილურობისთვის?**

– დიახ, სტაბილურობისთვის... ეს არის ქვეყანა, რომელიც მხარს უჭერს ამერიკის საგარეო პოლიტიკას და ეს არის ქვეყანა, რომელსაც ჯარები ჰყავს ავღანეთში. ამიტომ არ ულირს ამერიკის შეერთებულ შტატებს ამ ბრძოლაში ჩაება. იმდენი რამ ხდება მსოფლიოში, რომ ამერიკის მძიმე ჩარევა საქართველოში ცვლილების მოსახდენად ნაკლებად სავარაუდოა.

**– წინა ინტერვიუში თქვენ მეუბნებოდით, რომ თუ საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს იმ კურსით სვლას, რომლითაც მიდის, საქართველო შესაძლოა დასავლეთის და ამერიკის შეერთებული შტატების „რადარიდან ჩამოვარდეს“. ფიქრობთ, რომ სწორედ ესაა, რაც ახლა ხდება?**

– დიდწილად – კი. საქართველო, იმის მაგივრად, რომ იყოს დემოკრატიული ქვეყანა, დასავლეთისთვის დღეს უკვე არის ქვეყანა, რომელსაც ჰყავს ჯარები ავღანეთში. ეს ამერიკას ხელს აძლევს.

**– თქვენ ამას, თუ არ ვცდები, პატრონისა და კლიენტის ურთიერთობა დაარქვით.**

– დიახ, პატრონისა და კლიენტის ურთიერთობა.

**– მეორე მხრივ, გვაქვს ეს რუსული ფაქტორი... გვყავს ეს ოპოზიცია, რომლის რიტორიკაც მოსახლეობაში არ არის პოპულარული და, იმავდროულად, გვყავს ძლიერი ხელისუფლება... იქნებ ესაა, რაც საქართველოს მოსახლეობას სურს? ძლიერი მმართველობა...**

არ ვიცი, რა უნდა საქართველოს, თუმცა ესაა ის, რაც გვაქვს. თან, არ მგონია, რომ საქართველოს მოსახლეობას აქამდე ჰქონოდა რეალური შანსი საკუთარი ხმა დაეფიქსირებინა.

## დედამიწის ზურგზე




**ბრიტანეთის სპეცსამსახურებმა ტერორისტებს ბომბის შექმნის რეცეპტი კექსის რეცეპტებით შეუცვალეს**

**მათ „გატეხეს“ ინგლისურენოვანი ინტერნეტ ჟურნალის „ალ-ქაიდას“ პროგრამული კოდი, რომელიც შეიცავდა ასეთ რეცეპტს, და იქ დანერგეს თავიანთი ინფორმაცია. ამიტომ ნებისმიერი მსურველი, დაემზადებინა ჯოჯოხეთური მანქანა, როდესაც წაიკითხავდა სტატიას „როგორ დავამზადოთ ბომბი დედის სამზარეულოში“, ამის ნაცვლად ღებულობდა უმტკივნეულო საჭმელების რეცეპტებს.**

**შვედეთის მეფე „გამოიჭირეს“ მაფიასთან კავშირში – მან შეიძლება ტახტი დაკარგოს**



**პრესაში გამოჩნდა მასალები მეფის გარემოცვის პირთა მოლაპარაკების შესახებ იუგოსლავიის მაფიოზებთან. ისინი იმუქრებოდნენ გამოაქვეყნონ ფოტო და ვიდეო მასალები, რომლებზეც აღბეჭდილია მონარქი მეძავებთან დასვენების მომენტში. მეფის სასახლე მოლაპარაკების ფაქტს უარყოფს, მაგრამ შვედების უმრავლესობას მიაჩნია, რომ მეფემ უნდა შეწყვიტოს თავისი უფლებამოსილებანი.**

**იაპონიის პრემიერის წინამორბედმა მას ყალთაბანდი უწოდა**



**ჟურნალისტებთან საუბარში იუკიო ხატოიამამ მკვეთრი გამონათქვამებით გამოხატა აღშფოთება მისი სიტყვების გამო. ნაოტო კანმა დაარღვია თავისი დაპირება, გადადგეს უახლოეს პერიოდში. ხატოიამას სიტყვებით, საკითხი შეეხებოდა პერიოდს არაუგვიანეს აგვისტო-სექტემბრისა. მაგრამ მოგვიანებით კანმა განაცხადა, რომ თუ გადადგებოდა, გადადგებოდა არაუადრესი იანვრისა.**

**კიმ ჩენ ირი ადგილზე ხელმძღვანელობისთვის მივიდა ხილის დიდ ფერმაში**

**როგორც საინფორმაციო სააგენტო ცტაკი იტყობინება, კოსანის მეურნეობა რეკონსტრუქციის პროცესშია „ახალი საუკუნის მოთხოვნების შესაბამისად“. ჩრდილოეთი კორეის ლიდერმა შეაქო მშენებლები, რომლებმაც გაიყვანეს ირიგაციული სისტემა, რამაც „შექმნა ტექნიკური გარანტია ხილის წარმოების გაზრდისთვის“.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

განსჯა

გვესაუბრება ცნობილი ეკონომისტი და პუბლიცისტი, გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორ-გამომცემელი, ღირსების ორდენისა და იაკობ გოგებაშვილის მედლის კავალერი ანზორ ბაბუხადია



# „...ან აღვიგვებით მიწისაგან პირისა როგორც ერი!“

**— ბატონო ანზორ, სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანაში უმწვავესი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისია. საზოგადოება აშკარად უარყოფითად არის განწყობილი პოლიტიკური პარტიების საქმიანობისადმი, რომლებიც თავიანთი უნიათობით, ხშირად კი აშკარა გამყიდველობითაც, თანაბრად უშლიან ნერვებს მის მოაზროვნე, ღირსეულ ნაწილს. ამგვარი ვითარების, განსაკუთრებით კი 21-25 მაისს მომხდარი მოვლენების ფონზე, როგორ შეაფასებთ ქვეყნის ამჟამინდელ მდგომარეობას და უახლოეს პერსპექტივებს?**

— თქვენს შეკითხვაში ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა დასმული, რომლებზეც შეძლებისდაგვარად ამომწურავი პასუხის გაცემისა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სუბიექტური ფაქტორის გამორიცხვის მიზნით, გაგაცნობთ ორ ამონარიდს ჩემთვის ანგარიშგასაწევი პიროვნებების ახლახან გამოცემული წიგნებიდან. შემდეგ კი მდგომარეობის გამოსწორების გზების ძიების თაობაზეც ვისაუბროთ.

*1. „თუ დემოკრატიაა, მაშინ ამის თქმა უნდა შეიძლებოდეს. თუ დემოკრატიაა, მაშინ ყველა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ არასოდეს მისი მდგომარეობა ისე საშიში, ისე საგანგაშო, ისე საბედისწერო არ ყოფილა, როგორც დღეს არის. დღეს ჩვენს ერს ყოფნა-არყოფნის საშიშროება უდგას. ან გამოვნახავთ საკუთარ თავში სათანადო სულიერ ენერგიას. მოვიკრებთ საჭირო ძალებს და წინ აღვუდგებით ამ ღვარცოფივით მოვარდნილ წამლეკ ძალას, ან აღვიგვებით მიწისაგან პირისა, როგორც ერი“;*

*2. „პოლიტიკოსები, ძირითადად უპროფესიო ან ხელმოცარული ადამიანები ბრძანდებიან. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც... პოლიტიკოსები, ქვეშეცნეულად საშუალო ან უფრო დაბალი გონებრივი შესაძლებლობების ადამიანები არიან (თუმცა ამაში საკუთარ თავსაც არ უტყდებიან!). სამაგიეროდ, მათ ხელშია ძალაუფლება, რითაც საკუთარი ნაკლის გადაფარვას, უფრო ხშირად კი ამ ნაკლის ღირსებად წარმოჩენას ცდილობენ — მოჩვენებითი სიდარბაისლით, აგრესიულობით, შეუფერებელი ლაყბობით, ან სულაც „ბრძნული მდუმარებით“.*

პირველი ამონარიდის ავტორი გახლავთ აღიარებული ქართველი მეცნიერი, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, პროფესორი რევაზ ბალანჩივაძე, რომლის წიგნების: „ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილები“ და „ანთროპოლოგიური პედაგოგიკა“ წარდგენა ამ რამდენიმე დღის წინათ გაიმართა საქართველოს მწიგნობართა ასოციაციაში. მეორე ამონარიდის ავტორი კი გახლავთ ცნობილი ქართველი ჟურნალისტი თეიმურაზ ქორიძე („საუბრები ჟურნალისტიკაზე“, თბილისი, 2010წ.), რომლის აღნიშნული წიგნიც ასევე ცოტა ხნის წინათ გააცნეს საზოგადოებას წმინდა სამების ტაძრის ახალგაზრდულ ცენტრში.

ალბათ დამეთანხმებით, რომ როდესაც ასეთი ცნობილი ავტორები, როგორც იტყვიან, დაწყნარებულ გულზე დაწერენ და სახელმძღვანელოებშიც შეიტანენ ამას, მაშინ, სამწუხაროდ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ რეალურად ქვეყანაში მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა.

**— პოლიტიკოსად გახდომას დღეს, სოფლის შენებისა არ იყოს, რა უნდა. სულ რაღაც ერთ საათში შეგიძლია დაარეგისტრირო ნებისმიერი პარტია, ოღონდ სიტყვა დემოკრატია გაურიე მისი წესდება-პროგრამის თავში, შუაში ან ბოლოში და მორჩა — პოლიტიკოსი ხარ. ამის გამოა, რომ ქვეყანაში მათდამი ნდობა დღეისათვის თითქმის ნულის ტოლია...**

— მართალი ბრძანდებით, არ ენდობიან. კი, როგორ უნდა ენდო ისეთ ე.წ. პოლიტიკოსს, რომელმაც ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოსახვედრად პარტიულ სიაში გამსვლელი ადგილის მოპოვებისთვის ქრთამი გადაიხადა? დიახ, დიახ, ქრთამი გადაიხადა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით!

ამავე სიბრტყეში განვიხილავ ყველა გრანტიჭამია ე.წ. პოლიტიკურ პარტიასაც, რომლებიც, გარდა ამისა, წურბელებივით სწოვენ სისხლს ქვეყნის გასაცოდავებულ ბიუჯეტს და მშვიდად ალიქვამენ იმას, რომ საქართველო მთელ მსოფლიოში ბოლოდან პირველ ადგილზეა პენსიის დონის მხრივ. ამითაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ შენი ქვეყნის სასიკეთოდ ან, რომ იტყვიან, ლამაზი თვალებისთვის არავინ არანაირ გრანტს ტყუილად არ მოგვცემს.

**— არ გეჩვენებათ, რომ ხელისუფლების მიერ პოლიტიკოსთა მოქრთამვის და მათი მეშვეობით მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღების ლამის კლასიკურად ქცეული ფორმაა ის, რომ პარლამენტის წევრები, რომლებიც საპარლამენტო საქმიანობაში არანაირად არ მონაწილეობენ, პარლამენტარის ხელფასს და სხვა უამრავ შეღავათს უსირცხვილოდ იდებენ ჯიბეში?**

— ესეც „აქოური წესია“! ამის გათვალისწინებით, ძალიან ხმამაღალ, არაკომპეტენტურ ნათქვამად თუ არ ჩამითვლით, ვგონებ, ალბათ, დღის წესრიგში შეიძლება დადგეს ქვეყნის კონსტიტუციასა და შესაბამის კანონმდებლობაში რადიკალური ცვლილებების შეტანის აუცილებლობა იმ ვარაუდით, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მათ, ანუ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებმაც სრულად დაკარგეს მოსახლეობის ნდობა და არარაობად იქცნენ, ჩამოერთვათ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მომავალში კი საერთოდ ვთქვათ უარი ე.წ. პროპორციულ არჩევნებზე. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამ წინადადების რეალიზაცია იმას მაინც მოგვცემს, რომ ახალგაზრდობას დავიცავთ დროის ფუჭად კარგვისა და საკუთარი იაფფასიანი კარიერის იოლად შექმნის ცდუნებისგან. ამით ერთხელ და სამუდამოდ მივივიწყებთ ისეთ, უკაცრავად კი ვარ, მაგრამ მართლაც გულისამრევ გამოთქმებს, როგორებიცაა: „ახალგაზრდა ნაციონალები“, „ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატები“, „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატები“ და სხვა (რაო, რითი განსხვავდება ისინი სალანძღავად ქცეული პიონერიისა თუ კომკავშირისგან?). სამაგიეროდ გაჩნდება ახალგაზრდათა დაოსტატების ურთულესი გზით სიარულის მოტივაცია და ახალგაზრდა იურისტები, ეკონომისტები, ფინანსისტები, ფიზიკოსები, მათემატიკოსები, ქიმიკოსები და ა.შ. უფრო მეტად წაადგებიან ჩვენ ქვეყანას.

2011 წლის დასაწყისიდან მარტო საქართველოში კი არა, მთელ მსოფლიოში ამოტივტივდა ძალზე სერიოზული და რთული პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური პრობლემები. ზოგან არის მსხვერპლიც... ყველა სიტუაციაში ძირითად დამრტყმელ ძალად ახალგაზრდობა გვევლინება. საქართველოში კი, კარგა ხანია, ახალგაზრდობა მიმდინარე პროცესებისადმი რაღაცნაირად ინდიფერენტულ დამოკიდებულებას იჩენს. **როგორც ახალგაზრდულ პრობლემებში გარკვეულად ჩახედული (იაკობ გოგებაშვილის მედალი სხვაგვარად არ მოგენიჭებოდათ), ძალიან მოკლედ ხომ ვერ გვეტყვით თქვენს პოზიციას ამ პრობლემასთან დაკავშირებით?**

— 2011 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენებისა და უნივერსიტეტის 93-ე წლისთავის დღეს, საქართველოს რადიოს პირველი არხის ჟურნალისტს დილით ადრე ინტერვიუ ჰქონდა უნივერსიტეტის 10-მდე სტუდენტთან. დასმულ კითხვაზე, ვინ არიან დაკრძალულნი და ვისი ძეგლები დგას უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ მდებარე სკვერში (უნდა ეთქვა პანთეონი), ჩემდა გასაოცრად, ყველა სტუდენტის პასუხი თითქმის ერთნაირი იყო: ალბათ, ერთი ივანე ჯავახიშვილი იქნება, სხვა არ ვიცითო. სწორედ ასეთ შემთხვევაზე აქვს ნათქვამი ჩვენს ცოცხალ კლასიკოსს — საით მიდიხარ, საცოდავო საქართველოო!

რაც შეეხება ახალგაზრდობის ინდიფერენტულობას, პირდაპირ გეტყვით, რომ მისი მობილიზაციისა და თავდადების გარეშე მთელი მისი ისტორიის მანძილზე ქვეყანაში არც ერთი სერიოზული პრობლემა არ გადაწყვეტილა და არც მომავალში გადაწყდება. ამ ინდიფერენტიზმის დასაძლევად კი რეალური მოტივაცია, ლიდერისადმი ნდობა, რწმენა და სიყვარულია აუცილებელი!

**— ეს კი არც ისე იოლად გადასაწყვეტი საკითხია, რადგან სხვადასხვა ცნობილ გარემოებათა გამო დღეისთვის ქვეყანაში მართლაც არ არის გამოკვეთილი ისეთი ლიდერი, რომელსაც ხალხი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში სიამოვნებით დაუჭერდა მხარს...**

— არ არისო, რომ ბრძანებთ, ალბათ, იმას სულაც არ გულისხმობთ, რომ ასეთი პიროვნებები რეალურად მართლაც არ არსებობენ. ხმამაღლა ვამბობ, არსებობენ და, თანაც, არა ერთი და ორი, მაგრამ მათი გამოვლენა, წინა პლანზე წამოწევა, განვლილი გზისა და სამომავლო ამოცანების, გეგმებისა და ხედვების გაანალიზებაა საჭირო.

**— მერე როგორ მოვახერხოთ ეს? და, რაც მთავარია, როგორ შევარჩიოთ არჩევნებისთვის ჭეშმარიტი ლიდერის თვისებებით დაჯილდოებული ღირსეული პიროვნება?**

— გავრისკავ და ვიტყვი, რომ როცა ქვეყნის მომავალი პრეზიდენტის არჩევნების დრო მოვა, ამ ეტაპზე, როგორც გამონაკლისი, პირველი სიტყვის თქმის უფლება, ანუ ამ პოსტზე რამდენიმე კანდიდატის დასახელება ქვეყანამ უნდა მიანდოს ერის სულიერ მამას, მის უწმინდესობასა და უნეტარესობას ილია II-ს, რომლის მიერ შემოთავაზებული კანდიდატებიდან ქვეყნის მომავალ პრეზიდენტს საყოველთაო არჩევნებით დაასახელებს სრულიად საქართველოს მოსახლეობა.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ ინიციატივას მოწინააღმდეგეებიც ეყოლება და მომხრეებიც. ნაწილი ჩათვლის, რომ უწმინდესის ჩართვა ამ ბინძურ საქმეში არ იქნება გამართლებული. ნაწილი კი — პირიქით. ამის მიუხედავად, თუ ჯიუტობად არ ჩამეთვლება, მაინც ჩემს მოსაზრებაზე ვრჩები. და აი რატომ: ისტორიულად ასე იყო და ახლაც ასეა, რომ, როცა ნორმალურ ადამიანს ცხოვრებაში რაიმე ურთულესი პრობლემა გაუჩნდება, რჩევას მამას, ხევისბერს, თავის მოძღვარს ან თუნდაც ახლო მეგობარს ჰკითხავს, ხოლმე.

თითოეულ ჩვენგანს და სრულიად საქართველოს გაგვიმართლა, რომ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის სახით, გვყავს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, რომელიც ჩვენი სულიერი მამაც არის, მოძღვარიც და ხევისბერიც. და, რაკი ფაქტი რეალობაა და ძალიან გვიჭირს, ქვეყნის ურთულესი ჩიხიდან გამოყვანის მიზნით რად არ უნდა ვკითხო მას რჩევა?

**ესაუბრა**
**აზო შელია**

ვერნისაჟი

## გამოფენა დას მიუძღვნა

**დღეს, როცა მსოფლიოს გულგრილობის სენი შეეყარა, იქნებ ყველაზე მნიშვნელოვნად ჟღერს, რომ საქვეყნოდ აღიარებულმა ხელოვანმა ზურაბ წერეთელმა თავისი ფერწერული ტილოებისა და გრაფიკული ნამუშევრების გამოფენა, რომელიც სანქტ-პეტერბურგში მოეწყო, უძღვნა თავის ერთადერთ დას ნელი წერეთელს.**

**გამოფენები უცხო ქვეყნებში დასტურია იმისა, რომ ხელოვნებას არ აქვს პოლიტიკური საზღვრები. ცხადია, მეზობელ ქვეყნებში ინტერესი მძაფრდება, თუ რამდენად ემთხვევა ფერთა შეხამებისა და სხვა ნიუანსების ჩვეულებრივი შეფასებები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ზურაბ წერეთლის შემოქმედების გარდა, გამოვლინდა მისი უფაქიზესი ადამიანური განცდები და დამოკიდებულებები, რაც დღევანდელმა მკაცრმა რეალობამ დაგვავიწყა.**

დოდო იორდანიშვილი

მხარე

## გარკვეულის გაურკვევლად წარმოჩენის ქართული ვარიანტი

**ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში არსებული ქაოსისა და განუკითხაობის გამო ზუგდიდელმა გენადი კორკელიამ 7 წლის განმავლობაში სამართალი ვერ იპოვა, თუმცა არც სხვა სახელმწიფო სტრუქტურებშია უკეთესი ვითარება.**

**1995 წელს გენადი კორკელიას საცხოვრებელ სახლში — ზუგდიდში, ნარმანიას ქ. №1 (ყოფილი გამსახურდიას პირველი შესახვევი №1), რომელიც დაკეტილი იყო, შეიჭრნენ აფხაზეთიდან დევნილები. 35 დევნილი იქ დღემდე ცხოვრობს. 2004 წლამდე გენადი კორკელია ღებულობდა ბინის ქირას-3,5 ლარს თითო დევნილიდან, მაგრამ 2004 წელს მას შეუწყვიტეს ამ თანხის გადახდა. „დავიწყე იმის მოკვლევა თუ რატომ შემიწყვიტეს ბინის ქირის გადახდა, მაგრამ დიდ ხანს ვერაფერი გავარკვიე, ამიტომაც ვითხოვდი ან ბინის ქირის გადახდას ან დევნილთა სხვაგან გადაყვანას, მაგრამ არც ერთს და არც მეორე მოთხოვნას არ მიკმაყოფილებდნენ. მოგვიანებით გავარკვიე, რომ მისამართი იყო შეცვლილი. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ადგილობრივმა სამსახურმა ხელოვნურად შეცვალა დევნილთა საცხოვრებელი მისამართი, რათა მე ბინის ქირა არ მიმეღო და დევნილები მიაწერეს გამსახურდიას ქ№15-ში მდებარე სახლს, რომლის მფლობელია შალვა კაკაბაძე, სადაც დევნილებს არასოდეს უცხოვრიათ. ამ მისამართზე ირიცხება დიდძალი თანხა და სად მიდის ეს თანხა კაციშვილმა არ იცის“ — განაცხადა გენო კორკელიამ. ე.ი. დევნილები რეალურად ცხოვრობენ ნარმანიას ქ.№1-ში და მიწერილები არიან გამსახურდიას №15-ში. გენო კორკელიასთვის კი გადასახადი თანხა 2004წლიდან დღემდე ვიღაცის ჯიბეში ჩადის.**

**გენო კორკელიამ სარჩელი შეიტანა ჯერ ზუგდიდის, შემდეგ ქუთაისის სასამართლოებში, მაგრამ ვერც სასამართლოებმა გაარკვიეს საკითხი. „დევნილები შენი სახლის მისამართზე არ ცხოვრობენ დოკუმენტურად და ვერც თანხას მიიღებო. ასე განმიცხადეს, უფრო მეტიც 1600 ლარის გადახდაც დამაკისრეს სასამართლო ხარჯებისთვის, მაშინ როდესაც ჩემს ოჯახში უმძიმესი სოციალური მდგომარეობაა. მე და ჩემი მეუღლე პენსიონრები ვართ და ორივეს გადაუდებელი ოპერაციები გვაქვს გასაკეთებელი, საოპერაციოა ჩემი შვილიც“, — აცხადებს გენადი კორკელია.**

**ვერც ორმა სასამართლომ, ვერც სამთავრობო სტრუქტურებმა 7 წლის განმავლობაში ვერ გაარკვიეს და ვერ დაადგინეს დევნილთა რეალური საცხოვრებელი. არა და რაა გასარკვევი, ესეც გაუგებარია, დევნილებს ხომ ამ 16 წლის განმავლობაში ადგილმდებარეობა არ შეუცვლიათ. საკითხავია ვის ინტერესებშია ყოველივე გარკვეულის გაურკვევლად წარმოჩენა. ან ბინის ქირის გადახდა ან კიდევ დევნილთა გასახლება. ამ მოთხოვნით და თხოვნით გენადი კორკელიამ წერილი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს გაუგზავნა და ასევე სარჩელი შეიტანა საქართველოს უზენაეს სასამართლოში, მაგრამ... რა შედეგით დასრულდება ყველაფერი ეს, ჯერჯერობით უცნობია.**

ლადო ქირია,
ზუგდიდი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მძლეოსნობა

# მანეჟის სახეცვლილება



**საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები დღეს და ხვალ აზერბაიჯანის ღია ჩემპიონატში იასპარეზებს. ჩვენი ათლეტებისთვის ეს იქნება ქალთა კიდევ ერთი გამოცდა ევროპის გუნდური ჩემპიონატის წინ, რომელსაც 17-20 ივნისს რეიკიავიკი უმასპინძლებს.**

ბაქოში გამგზავრებამდე დიდუბის მძლეოსნობის მანეჟთან ეროვნული ნაკრების ახალი ფორმის პრეზენტაცია მოეწყო, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ვლადიმერ ვარძელაშვილი და ფედერაციის პრეზიდენტი ალექსი ახვლედიანი დაესწრნენ. Asics-ის ფირმის ნაწარმი 40 სპორტსმენისთვისაა შეძენილი.

მინისტრმა ფედერაციის მესვეურებთან ერთად „სპორტის დეღოფლის“ სასახლის სარემონტო სამუშაოებიც დაათვალიერა, რომელიც ახლა აქტიურ ფაზაშია. ოქტომბრამდე მანეჟი იერსახეს შეიცვლის: დაიგება სარბენი ბილიკები, დამონტაჟდება ტრიბუნები 1500 დასაჯდომი ადგილით, გათბობისა და განათების ახალი სისტემები, კეთილმოეწყობა კვების ბლოკი და 5 სასპორტო დარბაზი, სასტუმრო და სამედიცინო ოთახი. სულ მანეჟის რეაბილიტაცია 4 მილიონ ლარამდე დაჯდება, სამაგიეროდ, როგორც მძლეოსნებს, ისე სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებს ზამთრის პერიოდში ვარჯიშის შესანიშნავი პირობები ექნებათ.

**ლექსო ცინცაძე**

**ავტორის ფოტო.**

უნივერსიადა 2011

# დაწინაურდა ილიას უნივერსიტეტი



**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსში საქართველოს უნივერსიადის პროგრამით მკლავჭიდელებმა იასპარეზეს.** ახალგაზრდებში განსაკუთრებით ევროპის ჩემპიონმა ნიკა წერეთელმა (თსუძ იყოჩაღა: 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში მან მარჯვენა და მარცხენა ხელით ოქროს მედლები მოიპოვა. დანარჩენ წონებში ჩემპიონები გახდნენ: **მარჯვენა ხელით** – თორნიკე სიმონია (თსუ, 70ძ, გიგა შერაზადიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 75ძ, ვანო ხარებაშვილი (თსუ, 80ძ, მერაბ კაკაბაძე (აგრარული უნივერსიტეტი, 85), ვალერი გობეჯიშვილი (საავიაციო უნივერსიტეტი (+85); **ცაციათი** – თამაზ კვარაცხელია (აგრარული უნივერსიტეტი, 70ძ, ლაშა დორეული (თსუ, 75ძ, ზაზა თაბაგარი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 80ძ, ვახტანგ ბერიძე (სდასუ, 85ძ, ვასილ დათუაშვილი (სტუ, +85ძ.

უნივერსიადის პროგრამით ჯილდოები უკვე 16 სახეობაში გათამაშდა. 13 ოქროს, 11 ვერცხლისა და 12 ბრინჯაოს მედლით (სულ – 36ძ საერთო გუნდურ ჩათვლაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი დაწინაურდა. მას მხოლოდ ოქროებით ჩამორჩებიან თსუ-ს ( 11, 14, 13ძ და აგრარული უნივერსიტეტის ( 10, 11, 17ძ სპორტსმენები.

**ლაშა დიდია**

სახელის უკვდავსაყოფად

# ძეგლი სიცოცხლეშივე დაიდგა

**სახელოვნად განვლო ცხოვრების გზა ქართული კალათბურთის ბრწყინვალე წარმომადგენელმა ლევან ინწკირველმა. 17 წელიწადი იცავდა თბილისის „დინამოს“ სპორტულ ღირსებას. ამ ხნის განმავლობაში მრავალ წარმატებას მიაღწია: სამ-სამგზის საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა (1950, 1953-1954) და საკავშირო თასის მფლობელმა ( 1949-1951) 1959 წელს სსრ კავშირის ზამთრის პირველობაშიც გაიმარჯვა, ხალხთა სპარტაკიადაზე მეორე ადგილი დაიკავა, ორ-ორჯერ საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლი და ბრინჯაო მოიხვეჭა. ყველაზე დიდი მიღწევა მაინც ევროპის ჩემპიონთა თასის მოპოვება იყო – 1962 წლის 29 ივნისს თბილისის დინამოელებმა, რომელთა რიგებშიც ლევან ინწკირველიც გამოდიოდა, ჟენევაში მადრიდის „რეალი“ დაამარცხეს 90:83 და შინ საპატიო პრიზით დაბრუნდნენ.**

დიდ სპორტთან განშორების შემდეგაც არ უღალატია კალათბურთისთვის – მწვრთნელობას მიჰყო ხელი. მისი ხელმძღვანელობით თბილისის „დინამო“ 1968 წელს საკავშირო ჩემპიონატის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა, მომდევნო წელს ვერცხლის მედალთან ერთად სსრკ თასი მოიპოვა და ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის ფინალშიც გააღწია.

სპორტის დამსახურებული ოსტატი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სიცოცხლის ბოლო წუთამდე პირნათლად ემსახურა საყვარელ საქმეს: შარშან ამ დროს სპორტის სასახლეში ბოლო ვარჯიში ჩაატარა, ჩვეულებისამებრ რჩევა-დარიგებები მისცა შეგირდებს. შინ მისულმა უცებ შეუძლოდ იგრძნო თავი და ოჯახის წევრების გარემოცვაში მყოფმა უკვდავებაში გადაინაცვლა. გარდაცვალების



წლისთავთან დაკავშირებით ლარსის ქუჩის იმ სახლზე, რომელშიც ლევან ინწკირველი ცხოვრობდა, მემორიალური დაფა გაიკრა. ამ მოვლენის აღსანიშნავად აქ შეიკრიბნენ სახელოვანი კალათბურთელის თანაგუნდელები, ახლობლები და მისი ნიჭის თაყვანისმცემლები. ბატონი ლევანის განვლილი გზის საინტერესო ეპიზოდები გაიხსენეს ცნობილმა რადიო-ტელეკომენტატორმა ჯამლეტ ხუხაშვილმა, ვეტერანმა კალათბურთელებმა – ვაჟა ჟღენტმა, ილარიონ ხაზარაძემ, ვაჟა გვანცელაძემ და სხვებმა.

– ლიოვა ჩვენი გუნდის სული და გული იყო, – გვითხრა ვაჟა გვანცელაძემ. – დაუღალავი და ყოველთვის მიზანსწრაფული. იგი თავისი კლასით საკავშირო ნაკრებში თამაშსაც იმსახურებდა, მაგრამ რეპრესირებულთა ოჯახიდან იყო და უცხოეთში გასვლა აკრძალული ჰქონდა. ერთხელ ნაკრების ხელმძღვანელებმა ევროპის ჩემპიონატის წინ მაინც მიიწვიეს შეკრებაზე. კაგებეს არ ეძინა – სამედიცინო შემოწმებისას ინწკირველს უთხრეს, ინფარქტის ნიშნები გაქვსო, არადა, კაცს ოთხი ტაიმი შეეძლო შეუსვენებლად ეთამაშა. მოსკოვის კარდიოლოგიის ინსტიტუტში „ექიმების“ ვარაუდი არ გამართლდა, თუმცა გააფრთხილეს, ზედმეტ ვარჯიშს მოერიდეო, ვითომ უკეთ დასვენების მიზნით სასტუმროს ცალკე ნომერში გადაიყვანეს. ორი დღის შემდეგ ნაკრები დილაუთენია შეჯიბრებაზე გაემგზავრა. ქართველ კალათბურთელს კი მშვიდად ეძინა ოთახში – იგი არავის გაუღვიძებია.

ლევან ინწკირველმა თავისი შემოქმედებით ოქროს ფურცელი ჩაწერა სამამულო სპორტის ისტორიაში და უკვდავების ძეგლი სიცოცხლეშივე თავადვე დაიდგა.

**ვაჟა დანელია**

**სურათზე:** ლევან ინწკირველის მემორიალთან.

**ავტორის ფოტო.**

სკანდალი

# მარადონა ჩინელებს უჩივის



**მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა დიეგო მარადონამ სასამართლოში უჩივლა ჩინურ კომპანია The 9 Limited, რადგან მან უნებართვოდ გამოიყენა მისი სურათი თამაშში Winning Goal.**

„არავითარ ბოდიშს არ მივიღებ და მაინც დავიცავ ჩემს უფლებებს“, – უთქვამს მარადონას, კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე კი თავის მხრივ აცხადებს, რომ მარადონამ ხელი მოაწერა კონტრაქტს ონლაინ-თამაშში მისი გამოსახულების გამოყენებაზე, რასაც მარადონა უარყოფს.

ბოლოს კომპანიამ განაცხადა, რომ თავად გახდა ყალთაბანდ-აგენტის ლუ ვეიპინის მსხვერპლი და რომ მას ფეხბურთელის გამოსახულების გამოყენებისთვის 250 ათასი დოლარი გადაუხადეს. თუმცა ამისი მარადონას არ სჯერა და მაინც ჩინეთის სასამართლოს იმედი აქვს.

ინტერნეტიდან

## მესი გალახეს?!

**თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავი, მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე ლიონელ მესი ინციდენტში გაეხვია თავის მშობლიურ ქალაქ როსაროში. ქალაქის რესტორანში მის საპატივსაცემოდ გამართული სადილის შემდეგ ის სურათის გადასაღებად შეჩერდა იქვე მყოფ სტუდენტთა ჯგუფთან.** ამ დროს მასთან მივარდა ერთი უცნობი ახალგაზრდა სიტყვებით: „შენ ნიუელს ოლდ ბეიზის“ გულშემატკივრობ, მე კი – „როსარიოს“. შემდეგ მან ფეხბურთელს გაარტყა და გაიქცა. საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. როგორც მესიმ თქვა: „არაფერი მომხდარა, დარტყმა არც კი მიგრძვნია, ასე რომ ყველაფერი წესრიგშია“.



აღმოჩნდა, რომ უცნობი ფანატი „როსარიოს“ გულშემატკივარი ყოფილა, ის კი მთავარი მეტოქეა „ნიუელს ოლდ ბეიზისა“, სადაც ბავშვობის წლებში ვარჯიშობდა ახლანდელი სახელოვანი ფეხბურთელი.

## რეკორდი ველოსიპედით



**36 წლის ავსტრიელმა მარკუს შტეკლმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი სერიული ველოსიპედით – 164,95 კმ. საათში. მან 550-მეტრიანი ტრასა ნიკარაგუაში ვულკანის სერრო-ნეგროს ფერდობზე გაირბინა, რითაც დაამხო ცხრა წლისწინანდელი რეკორდი, ფრანგ ერიკ ბარონს რომ ეკუთვნოდა.**

ტრასა პირდაპირ მოქმედი ვულკანის კრატერიდან იწყებოდა და დიდი სიჩქარის განვითარების საშუალებას იძლეოდა.

## ლამაზმანი არ გაჩუმდა

**ამას წინათ ვწერდით: ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელს რაიმონ გიგზის ბრალი დასდეს, რომ ეს ცოლშვილიანი კაცი დროს ატარებს ლამაზმან იმოგენ ტომასთან, რამაც ბრიტანეთში დიდი სექს-სკანდალი გამოიწვია, რომლის შემდეგ იმოგენი ინტერნეტშიც კი აღარ გამოჩენილა. მაგრამ, აი, ცნობილი გახდა, რომ მას შემოელანძღა ჯიბრაელ სისეს ცოლი – ჯუდი. ამ უკანასკნელმა თურმე ინტერნეტის საშუალებით ტომასს მისწერა: „მოკეტე და ღირსეულად მოიქეცი“.**



იმოგენმა ეს რომ ნახა, სასწრაფოდ უპასუხა: „პატივცემულო ქალბატონო სისე, არავის არ უნდა თქვენი აზრის ცოდნა, თქვენ საქმე ხომ არ გამოგლევიათ“.

შემდეგ კი ქალიშვილმა მოუთხრო თავისი გულისტკივილი: „როგორ დაიჯერეთ, რომ ყოველივე ეს უბრალო სექსზე მეტია? მე არაფერზე ვნანობ. მაგრამ გულწრფელად თანავუგრძნობ უდანაშაულო ცოლსა და შვილებს. ბოლო ხანებში მტრები გამიჩნდნენ. შეხედეთ თქვენსავე ცხოვრებას, სანამ ჩემს განსჯას დაიწყებდეთ. ერთი თქვენი...“

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## როგორ იხარჯება მილიონები




**მსოფლიო ბანკის უმაღლესი, ასევე სამხრეთ კავკასიის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელობის შეფასებით, ამ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის მხარდაჭერით საქართველოში განხორციელებულ პროგრამებს ერთობ კარგი შედეგი აქვს. ამ ფუძემდებლური დასკვნის საფუძველზე გადაწყდა, რომ 2011-2013 წლებში მსოფლიოში ეს ერთ-ერთი უძლიერესი საფინანსო ინსტიტუტი საქართველოს დამატებით 235 მილიონი დოლარის დაფინანსებას გამოუყოფს. ამის მიზანია, უწინარესად, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლის შენარჩუნება.**

2010-2013 წლებში საქართველოსთან განხორციელებული და განსახორციელებელი სამუშაოს თაობაზე მსოფლიო ბანკმა შუალედური ანგარიში წარმოადგინა. აღნიშნულ დოკუმენტში ორ მიმართულებას ეყრდნობა: **პირველია კონფლიქტის შემდგომი საჭიროებების უზრუნველყოფა, მეორე – ამავე პერიოდში ეკონომიკის აღდგენისა და მისი ზრდის მიზნით კონკურენტუნარიანობის გაძლიერება.**

თავად მსოფლიო ბანკის წარმომადგენლობის განცხადებით, ახალი პროგრამით, რომლის ფარგლებში სახსრების დიდი ნაწილი ქვეყნის შიდა და ადგილობრივი გზების გაუმჯობესებას, ასევე რეგიონულ განვითარებას მოხმარდება, ორგანიზაცია განაგრძობს ყოველწლიური განვითარების პოლიტიკის ღონისძიებათა განხორციელებას. **მათი მიზანია სოციალური უსაფრთხოების, ფისკალური ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.**

გზების გაუმჯობესებაზე სოლიდური სახსრების დახარჯვას ის აზრი აქვს, რომ ეს ქვეყნის მხარეებს შორის სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვებს გაცილებით გააადვილებს, რაც, ერთი მხრივ, ბაზრებს უფრო ხელმისაწვდომს, მეორე მხრივ კი საზოგადოებრივ მომსახურებას უფრო კომფორტულს გახდის. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ ამით მხარეთა რაიონებში, მართალია, მოკლევადიანი, მაგრამ სამუშაო ადგილები შეიქმნება, სოფლის უმუშევარი ხალხის ნაწილი რაღაც დროით მაინც დასაქმდება, რაც გარკვეულწილად დაძაბულ სოციალურ ფონს შედარებით შეარბილებს.

რეგიონული პროგრამის განხორციელება კახეთიდან დაიწყება და **საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებაზე, კერძოდ, სავაჭრო ადგილებს შორის სატრანსპორტო კავშირის უზრუნველყოფასა და კონკრეტულ სექტორებში ზრდის პოტენციალის მხარდაჭერაზე იქნება ორიენტირებული.**

აქვე გვინდა შემოგთავაზოთ რამდენიმე სტატისტიკური მონაცემი, რომლებიც მოყოლებული 2009 წლიდან, საქართველოში მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით განხორციელებულ პროექტებს ეხება. კერძოდ, **განახლდა დაახლოებით 600 კილომეტრის სიგრძის გზები; აშენდა შვიდი ახალი სკოლა; სამედიცინო დარგის დაახლოებით 1800-მა მუშაკმა სპეციალური მომზადება გაიარა და ოჯახის ექიმი გახდა; ამბროლაურში აშენდა 25-საწოლიანი საავადმყოფო; გორში გაიხსნა პირველადი სამედიცინო დახმარების ცენტრი, რომელიც დაახლოებით 69 ათას ბენეფიციარს ემსახურება (აქედან 10 ათასი იძულებით გადაადგილებული პირია); მიზნობრივმა სოციალურმა დახმარებამ 408 ათასზე მეტი ბენეფიციარი მოიცვა; გაფართოვდა გადასახადების ელექტრონული დეკლარირების სისტემა.**

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია კვლავაც აგრძელებს ინვესტირებას საქართველოს ეკონომიკის კერძო სექტორში. 2009 წელს კორპორაციამ ქვეყანაში 224 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა, მათ შორის 190 მილიონი დოლარი ფინანსურ სექტორში. მან ასევე დამატებით 41 მილიონი დოლარის ინვესტირება განახორციელა საბანკო სექტორში რისკების მართვის სფეროში, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, ასევე ვაჭრობის ხელშეწყობისთვის განკუთვნილი კრედიტებისთვის. საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობს უძრავი ქონების, სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის სფეროებში ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მომატებას, რადგან, მისი ხელმძღვანელების აზრით, **„საკმაოდ დიდი პოტენციალია იმ სფეროების ათვისებაში, რომლებშიც საქართველოს ბუნებრივი კონკრეტული უპირატესობა აქვს“.**

**ოთარ ტურაბელიძე**

## ინფორმაცია თემაში

**ახალ პროგრამებს მსოფლიო ბანკი დააფინანსებს საერთაშორისო განვითარების ასოციაციისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მეშვეობით. 235 მილიონი დოლარის მთლიან დაფინანსებაში ამ საფინანსო ინსტიტუტების წილი, შესაბამისად, 160 და 75 მილიონი დოლარი იქნება.**

**ამდენად, მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთვის 2010-2013 წლებში გამოყოფილი საერთაშორისო განვითარების ასოციაციისა და რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თანხები მთლიანად 630 მილიონ დოლარს შეადგენს, რომელთაგან 385 მილიონი დოლარი სადღეისოდ უკვე გახარჯულია. ამასთან, ბანკის მიმდინარე საკრედიტო პორტფელი 10 საინვესტიციო პროექტს შეიცავს.**

## ინფორმაცია

### სკოლის დირექტორებს პედაგოგიური საქმიანობაც შეეძლებათ

**საჯარო სკოლის დირექტორებისთვის პედაგოგიური საქმიანობის პროცესში არსებული საათობრივი შეზღუდვა მოიხსნება. აღნიშნულთან დაკავშირებით ცვლილება შედის „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში.**

**მოქმედ კანონში წერია, რომ დირექტორის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან იმავე სკოლაში. გამონაკლისის სახით, დირექტორი, თუ მას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვს პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლება, უფლებამოსილია ეწეოდეს პედაგოგიურ საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, მასწავლებლის სრული პედაგოგიური დატვირთვის მესამედამდე, შესაბამისი ანაზღაურებით.**

**აღსანიშნავია, რომ დღემდე არსებული რეგულაცია გამონაკლის მაღალმთიანი რეგიონებისა და მცირეკონტინგენტიანი სკოლებისათვის უშვებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით.**

**წარმოდგენილი კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ დირექტორებისთვის დაწესებული შეზღუდვები იხსნება და მათ საშუალება მიეცემათ პედაგოგიური საქმიანობა განახორციელონ.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ხსოვნა

### ნიკოლოზ (ბიჭიკო) ლაპიაშვილი



მედიცინის მუშაკთა და სამამულო ომის ვეტერანთა სახელოვან მამულიშვილებს კიდევ ერთი თავდადებული მეომარი, ღვაწლმოსილი, უბადლო მკურნალი და გულისხმიერი ექიმი ნიკოლოზ (ბიჭიკო) ლაპიაშვილი გამოაკლდა.

ბიჭიკო ლაპიაშვილი დაიბადა 1923 წელს წითელწყაროს რაიონში. საშუალო სკოლა წარჩინებით დაამთავრა 1941 წელს და უგამოცდოდ ჩაირიცხა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე. იმავე წელს გაწვეული იქნა სამამულო ომში საბჭოთა ქვეყნის დამცველთა რიგებში, სადაც თავი გამოიჩინა როგორც თავდადებულმა მებრძოლმა. მძიმე ჭრილობების მიუხედავად, იბრძოდა მტრის საბოლოო განადგურებამდე, ომის დასრულებამდე. დემობილიზაციის შემდეგ სწავლა გააგრძელა სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1952 წ.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მშობლიური რაიონის წითელწყაროს საავადმყოფოში თერაპიული განყოფილების გამგედ. შემდეგ კი, პენსიაზე გასვლამდე თბილისში, ინფექციურ საავადმყოფოში, აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის დაფუძნებულ სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრში, სადაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა ცენტრის დაფუძნების პერიოდში სამედიცინო კვლევებსა და ექსპერიმენტებში, გამოირჩეოდა როგორც გულისხმიერი და მაღალი კვალიფიკაციის ექიმი-თერაპევტი. მიღებული ჰქონდა სამშობლოს, საბრძოლო და შრომითი ჯილდოები.

აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის სახელობის
სეფსისის საწინააღმდეგო ცენტრის თანამშრომლები,
სამამულო ომის ვეტერანთა საბჭო.

---

მეუღლე გულნარა ქაშაკაშვილი, შვილები ტასო, ნანა, ლელა ლაპიაშვილები, სიძეები შოთა მელივა, პაატა მირაშვილი, ირაკლი ჩუბინიძე, შვილიშვილები ნიკა, გაბო, თამუნა მელივები, სანდრო, თედო, მარიამ ჩუბინიძეები, ცოლისძმა გურამ ქაშაკაშვილი ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნიკოლოზ (ბიჭიკოძ ლაპიაშვილი

პანაშვიდი 5, 6 VI, 17 სთ. გამოსვენება 7 VI, 15 სთ.

## სათავისოდ გაკინოებული

# ხუთი ივნისი და ხვალეო

**5 ივნისიდან თბილისის კინოთეატრებში ვნახავთ ამერიკულ მხატვრულ ფილმს „აგვისტოს ხუთი დღე“. მთავარ როლში (საქართველოს პრეზიდენტიძ – ჰოლივუდელი ვარსკვლავი ენდი გარსია... – ასე იჭაჭებიან ჩვენი მთლად გარეკლამებული ტელეარხები. თანაც მგონი ეგ ენდი, იგივე ეკრანის ბრენდი, თბილისში ჩამოდის და გადარევა მაშინ ნახეთ...**

პრემიერას მეც გაფაციცებული მოველი და რაკი რამდენიმე ინტრიგული ფიქრი გამიჩნდა ამ მოლოდინში, თავს თქვენთვის გაზიარების ნებას ვაძლევ.

ვაითუ „აგვისტოს ხუთმა დღემ“ კიდევ უფრო დააავიწყოს ხელისუფლებას ისედაც მიჩრდილული მაისის ერთი დღე – 26 მაისი...

სხვა ფილმებიდან ენდი გარსია არცთუ მაღალი ჯეელი მახსოვს და ნეტა ამსიგრძე ჩვენს პრეზიდენტს როგორ ასახიერებს...

ნეტავ გორის ერთ-ერთ ქუჩაზე მიხეილ-პატენის სამარცხვინო ფორთხვის კადრი თუ შევიდა კინოსცენარში და მერე ფილმშიც, და თუ შევიდა, რამდენად კარგად გამოუვიდა ეგ ხოხვა კინოგმირს?..

ნეტავ რამდენი მილიონი დოლარი მიაზღოძეს ჰოლივუდელ ვარსკვლავს ამ როლის შესრულებისთვის და მომავალში გაქაჩავს თუ არა „ოსკარამდე“ ეგ „აგვისტოს ხუთი დღე“.

ნეტავ რამდენად ბედნიერია სურათის დასასრული, მოირგო თუ არა ენდიმ „ჰეპი ენდი“?

გაირტყამს თუ არა, თვით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელიდან, იმისი როლის შემსრულებელი ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენს, ბევრისთვის ესოდენ დამაბრმავებელსა და თვალის მომჭრელს?..

დავიცადოთ და ვნახოთ – რაღა დარჩა ხუთ ივნისამდე...

**ბერდია ბედოიძე**

## სტიქია

### წყალდიდობა ანანურსა და დუშეთში

**ძლიერმა წვიმამ ანანური დააზარალა. განსაკუთრებული ზარალი მიადგა 26 ოჯახს. დატბორილია ეზოები, ნარგავები კი განადგურებულია.**

**ღვარცოფმა შიდა გზებიც დააზიანა, რის გამოც ანანურში გადაადგილება შეუძლებელია. ადგილობრივ მოსახლეობას გზების გაწმენდაში მაშველები ეხმარებიან.**

**დუშეთის ხევის ადიდების შედეგად დანგრეული ხიდის აღდგენითი სამუშაოები კი უახლოს დღეებში დაიწყება. ხიდის არარსებობის გამო ამ დროისთვის 10-მდე სოფელი, ისევ გარესამყაროსაა მოწყვეტილი. დაზიანებულია გზები და ინფრასტრუქტურა.**

**უკვე შეიქმნა სპეციალური კომისიები, რომლებიც ზარალს დაითვლიან.**

ჯი-ეიჩ-ენი

---

გიზო ნიშნიანიძე, ნაზი ნიშნიანიძე, რამაზ ხუროძე, თემურ ხუროძე ოჯახებით იუწყებიან

ომან ომანიძის

გარდაცვალებას.

---

საქართველოს ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ცენტრალური, თბილისის ვეტერანთა საქალაქო, რაიონული და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სამხედრო ძალების ვეტერანი, თადარიგის პოლკოვნიკი

ოთარ ამბროსის ძე თავბერიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

### განცხადება

2011 წლის 16 ივნისს დღის 11 საათზე (მესამედძ დანიშნულია სააქციო საზოგადოება „ყვარლის“ აქციონერთა საერთო კრება. მისამართი: ჭავჭავაძის 72.

დღის წესრიგი:

1. 2010 წლის წლიური ანგარიშის განხილვა;
2. სხვადასხვა საკითხები.

სს „ყვარლის“ ადმინისტრაცია

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

## სულიერება

# „შენ ხარ ვენახის“ ავტორი ღირსი დამიანე, დემეტრეყოფილი



**5 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს ღირს დამიანე გარეჯელს, ყოფილ მეფე დემეტრეს, რომელიც დავით აღმაშენებლის ძე იყო.**

...ცნობილია, რომ „გულადი და ღვთისმოყვარე და ყოვლითურთ თავის მამის დავითის მსგავსი“ დემეტრე ძალიან ბევრს ილვწოდა ქვეყნის აღმშენებლობისათვის. მან აღასრულა მამის ანდერძი და დაამთავრა გელათის მშენებლობა, მისი ბრძანებით აიგო ბევრი ახალი ეკლესია.

მეფე დემეტრეყოფილი განსაკუთრებით ზრუნავდა დავით გარეჯზე, თითქოს წინასწარ განჭვრეტდა, რომ სიცოცხლის ბოლოს ბერად აღკვეცის შემდეგ სწორედ აქ დაემკვიდრებოდა, მისი იამბოკოებიდან ცნობილია შესხმა ღვთისმშობლისა – „შენ ხარ ვენახი, ახლადაყვავებული, მორჩი კეთილი, ედემსა დანერგული, ალვა სუნნელი, სამოთხეს აღმოსული, ღმერთმა შეგამკო, ვერვინა გჯობს ქებული, თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული“.

**გიული ლიპარტია**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

## დაიჯესტი



### გულჩვილი კაკაჩა

**გერმანიის ქალაქ ბიურგშტადტის მცხოვრებმა იაკობ რუმ კაკაჩა გაზარდა. უსუსური ბარტყიდან ის მრისხანე მტაცებლად გადაიქცა, რომლის ვოლიერში შესვლას მარტო პატრონი ბედავდა...**

ერთხელ ჰერ რუმ კაკაჩას საღილად ქათმის შვილი კვერცხი მისცა. მაგრამ მტაცებელმა იმის მაგივრად რომ შეეჭამა... კვერცხებზე დაჯდა. ცოტა ხანში წიწილებიც გამოიჩეკნენ, რომლებიც კაკაჩამ თავის ბარტყებად აღიქვა. ახლა ყველანი იმის თაობაზე ბჭობენ, ხომ არ დაბრდღვნის ერთ მშვენიერ დღეს კაკაჩა „თავის შვილებს“?

– დარწმუნებული ვარ, რომ იგი შიმშილით მოკვდება, მაგრამ წიწილებს არაფერს დაუშავებს, – დარწმუნებულია იაკობ რუ.

### ნორვეგიული „სიცოცხლის წყლის“ ზღვაოსნობა

**ნორვეგიულ „სიცოცხლის წყლად“ მიჩნეულია ქარვისფერი „ლინიე-აკვავიტი“ ანუ „აკევიტი“. სიტყვა „ლინიე“ კი ეკვატორს ნიშნავს...**

თავდაპირველად მუხის კასრებში ჩასხმულ სასმელს გემებზე ტვირთავენ და ნორვეგიიდან სამხრეთ ნახევარსფეროში გააქვთ, შემდეგ კი... უკან მოაქვთ!! საქმე ის არის, რომ კასრის შიგნით შეუჩერებელი მოძრაობის შედეგად აკვავიტი ხის სურნელებას იწოვს, სასიამოვნო ხავერდოვან გემოს და მოყვითალო ფერს იღებს. მხოლოდ ამ პროცესის შემდეგ სასმელს ბოთლებშიასხამენ და გასაყიდად გააქვთ.

### სიცოცხლის გახანგძლივების გზა

**ას წლამდე ისინი ცოცხლობენ, ვინც მკაცრად იცავს დაბალკალორიულ დიეტას. ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ ისინი, ვინც დღის მანძილზე რეკომენდებული კალორიების მხოლოდ 60 პროცენტს მოიხმარენ, საშუალოდ 25 წლით მეტს ცხოვრობენ.**

ექსპერიმენტის მსვლელობისას მკვლევარებმა დაამტკიცეს, რომ დღის რაციონის 30 პროცენტით შემცირება, მკვეთრად ამცირებს გულის სისხლ-ძარღვთა დაავადების საშიშროებას და სიცოცხლეს მესამედით ახანგრძლივებს.

### სამარადჟამოდ რომ არ „მოისვენოთ“

**კანადელმა მეცნიერებმა თორმეტი წლის მანძილზე 14 ათასი კაცის მონაცემები დაამუშავეს და დაადგინეს, რომ ძილის ან დამამშვიდებელი პრეპარატის მიმღებ ადამიანებში, უდროოდ სიკვდილის რისკი 36 პროცენტით იზრდება.** აღნიშნავენ იმასაც, რომ კანადელ ფსიქიატრთა გამოკვლევამ მხოლოდ დაადასტურა ნორვეგიელ, შვედ და ავსტრალიელ მეცნიერთა კვლევების შედეგები. ყველანი ერთ აზრზე არიან, რომ ნაადრევი სიკვდილის რისკი მართლაც მატულობს იმ ხალხში, ვინც რეგულარულად ღებულობს ანტიდეპრესანტებსა და საძილე მედიკამენტებს. ის, რომ ამ ტიპის პრეპარატების მიღება უკონტროლოდ დაუშვებელია, დიდი ხნის წინათაა დადგენილი.



## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● 1961 წელს კოპენჰაგენში დასრულდა მსოფლიოში ყველაზე უფრო ხანგრძლივი გაფიცვა: ადგილობრივი პარიკმახერები გაფიცულიყვნენ 1928 წლიდან.

● ხსნადი ყავა პირველად მეორე მსოფლიო ომის დროს დასავლეთის ფრონტზე გამოჩნდა. კომფორტს მიჩვეულ ამერიკელ ჯარისკაცებს არ სურდათ ჩვეულებისთვის ეღალატათ თუნდაც საველე პირობებში. ახლა კი მისი მწარმოებელი, ძირითადად, ბრაზილიაა.

● ჩინურ ენაზე სიტყვა „ჭამა“ ორი იეროგლიფისაგან გამოიხატება. ერთი აღნიშნავს ზმნას – მოქმედებას, ხოლო მეორე კი ბრინჯს.

● დოლი ადრე ეთიოპიაში სახელმწიფო ძალაუფლების სიმბოლო იყო. სახელმწიფო ჩინოვნიკს, რაც უფრო მეტი ჰქონდა, მით მაღალი მდგომარეობა ეჭირა. ახლა გაზეთს, რომელიც ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტებს აქვეყნებს, მისი სახელი ჰქვია, რადგანაც მას ბრძანებულების გამოცხადებისას იყენებდნენ.

● ამერიკაში ბევრ ქალაქს ჰქვია წმიდანების სახელი. მაგალითად, წმიდა ბარბარე – სანტა ბარბარა, წმიდა ფრანცისკო – სანტა ფრანცისკო, წმიდა იოსებ – სან ხოსე და წმიდა იაკობისა – სანტ-იაგო.

● ნიგერიაში სასამართლო დარბაზში აკრძალულია ამულეტებისა და თილისმების შეტანა, რათა შელოცვის ძალამ მოსამართლეებზე არ იმოქმედოს.

● XVIII საუკუნიდან დღემდე დასავლეთ ევროპის ზოგ ადგილებში სახლების სახურავებზე ბალახს თესავდნენ. მიაჩნდათ, რომ ამით მეხის დაცემისაგან იცავდნენ თავს.

● იაპონიაში დასახლებულ ადგილებში შენობებს შორის სპეციალურად დიდი ბუჩქებია დარგული, რომელთაც ადამიანები „საჭიროების“ დროს ამოეფარებიან ხოლმე.

● ჩინეთში გაიხსნა ბარი, რომლისთვისაც სპეციალურად იქირავეს ოცი სპორტსმენი, კუნთმაგარი მამაკაცი. ბარის სტუმრებს უფლება აქვთ, საფასურის გადახდის შემდეგ სცემონ უცნაურ ოფიციანტებს.

● ირანში მოღალატე ქმარი მათრახის ასი დარტყმით ისჯება.

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6840 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3930 ლარი |
| 1 ბირ. სტ. | – 2.7390 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9891 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5068 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1303 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1107 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0635 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5885 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +16 – +24 |
| ქუთაისი. | +17 – +29 |
| ბათუმი. | +18 – +24 |
| ზუგდიდი. | +18 – +29 |
| თელავი. | +16 – +23 |

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით. 868 838 858

## კადრი



## ანეკდოტები

– გამარჯობა! რად არ ილებდი ტრუბკასა?

– ტუალეტში ვიყავი.

– ორი თვე?

* * *

– აბა, მითხარი, როგორ გრძნობ თავს ახალ სკოლაში, რომელშიც გადახვედი?

– ცუდად, ვერავისგან ვერაფერს ვერ გადაიწერ.

– რატომ, ყველა მასწავლებელი ასეთი მხეცია?

– არა, ყველა მოსწავლეა დებილი.



* * *

– ოფიციანტო, თითები წვნიანის თეფშში გაქვთ ჩაწყობილი.

– არა უშავს, წვნიანი ცხელი არ არის.

* * *

სვანი ახალ ბინაში გადავიდა საცხოვრებლად და მაღაზიაში სასტუმრო ოთახის იატაკზე დასაგებ ხალიჩას ეძებს.

– ხომ ვერ გვეტყოდით, რამდენ კვადრატულმეტრიანია თქვენი ოთახი? – ეკითხება გამყიდველი.

– როგორ ვერ გეტყვით, კაცო, სიგრძეში 22 ნაბიჯია, სიგანეში – 20. ორმოცდაოთხი ზომის ფეხსაცმელს ვიცვამ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძიძულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24